ოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 28 სექტემბერი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთის ფასი: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული [illegible] სით უნდა გამოგზავნონ: Тиф[illegible] кп. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 207 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 207

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღრმად დამწუხრებულნი და თავზარ დაცემულნი სტეფანე, მზხა და მელიტონ ნიკურაძეები, ესტატე და ელისაბედი მეიშვილები შვილებით გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ, ამა თვის 25 ენკენისთვეს უდროოთ გარდაიცვალა პირველის მეუღლე ხოლო მეორისა და მესამის რძალი

ელენა (ნეო) გიორგის ასული ნიკურაძისა.

ცხედარს თფილისიდან გაასვენებენ ს. კულაში: დასაფლავებული იქნება მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზე (2—2)

ღრმად დამწუხრებულნი ნუგეშ დაკარგული, მუდამ მგლოვიარე მშობლები: ფოტინე და გიორგი, მამიდა ეფროსინე, რძლები ნინა ლუკას და ნინა გიორგის ასულები, დები: ნინა, ლადიჩკა და თამარა; ძმები: ვალიკო, ალექსანდრე, სამსონ, სევერიანე და ნიკოლოზი თხილავეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ამა თვის 25 ენკენისთვეს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ელენა (ნეო) გიორგის ასული ნიკურაძისა.

მიცვალებულს თფილისიდან გაასვენებენ ს. კულაში და დასაფლავებულ იქნება მაცხოვრის ეკლესიის სასაფლაოზედ. (2—2)

უბედური დედ-მამა ათანასე ვასილის ძე და თამარა ნიკოლოზის ასული ქვათაძენი აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავებს, რომ რვა დღის ავადმყოფობით გარდაეცვალათ ძვირფასი შვილი ქართულ სათავად აზნაურო სკოლის პირველი კლასის მოწაფე

შალვა ათანასეს ძე ქვათაძე.

პანაშვიდები ყოველ დღე, ბინაზე, ავჭალის შესახვევი (Авчальскій пер.) № 13. გამოსვენება ბინიდან კვირას, 29 ენკენისთვეს, დილის 10 საათიდან, კუკიის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში და დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

გულდამწვარნი დედა ნინო, ძმები რაჟდენ, გრიგოლ და ლევან, მეუღლე ვარო, რძლები ეკატერინე და დარო მირიანაშვილები, დაი ანნა და სიძე გიორგი მამაცაშვილები, სიმამრი ნიკა და სიდედრი ანანა კარდენახლიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 29 ენკენისთვეს, 12 საათზე, დიდუბის ეკლესიაში, გადახდილ იქნება შვიდის პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულის

ნიკოლოზ მალაქიას ძე მირიანაშვილის

სულის მოსახსენებლათ. (2—1)

გულმოკლულნი აქსენტი გიორგის ძე შვილებით: შალვა, არჩილი, გიორგი აბესაძენი, ქეთევან ფეოდოროვისა და ევგენია აბაშიძისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 28 ენკენისთვეს, კალოუბნის ეკლესიაში, 12 საათზე, გადახდილი იქნება მეშვიდე დღის პანაშვიდი დაუვიწყარ მეუღლის—პირველისა და დედის—დანარჩენის

დარია ზაქარიას ასულის აბესაძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

მადლობას უცხადებთ იმ პირთ, რომლებმაც ჩვენის შვილის **გოგია სურგულაძის** ცხედარი ბრძოლის ველიდან სახლში მოგვისვენეს და მით შეძლება მოგვცეს დამწუხრებულ მშობლებს ჩვენის დაუვიწყარის გოგიას კუბოზე დაგვეფრქვია ის მწიბლიური ცრემლები, რომელიც დღესაც შეუშრობელია ჩვენს თვალებზე აგრეთვე მადლობას უცხადებთ გოგიას იმ ამხანაგებს, რომლებმაც გაზეთით თუ სიტყვებით თანაგრძნობა გამოგვიცხადეს.

გოგია სურგულაძის **მშობლები**. ს. გომი, (გურია).

ღრმად დამწუხრებული ოჯახი კოლა ვიგორბინისა უღრმეს მადლობას უძღვნის ყველა მათ ვინც კი პატივი სცა და დაესწრო მისი შვილის **პავლეს** დასაფლავებას, რომელიც იბრძოდა სოხუმის ფრონტზე და ადრე გამოესალმა წუთი სოფელს და თვის ამხანაგებს. მთელი ოჯახი დიდ მადლობას სწირავს ირაკლი წერეთელს, რომელმაც პატივი სცა თავისი დასწრებით და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა პავლეს საფლავზე. მადლობას უძღვნის აგრეთვე იმ ამხანაგებს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს პროცესიის საუკეთესოდ მოწყობაში. მთელი ოჯახი ფიცსა სდებს პავლეს საფლავზედ რომ არ დაიხევს უკან და არ უღალატებს ერთხელ დაჭყობილს იდეას, იბრძოლებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. ან სიკვდილი ან გამარჯვება. ოჯახის მონდობილობით **პეტრე ნიკოლოზის ძე ვიგორბინი**.

ლატარია

გიყვარს შენ თეატრი,
უნივერსიტეტი?
რად გინდა რეკლამა,
ანდა ეტიკეტი?!
იყიდე ბილეთი
უხვ-მომგებიანი,
იაფი: სულ ოცდა-
ხუთ მანეთიანი!
იყავით ესთეტნი,
იყავით ღვთიანი,
რომ უფრო ბრწყინავდეს
თქვენი ცა მზიანი!
მერწმუნეთ, იგია
მდიდარი, ჭკვიანი,
ვისაც ბილეთები
აქვს მომგებიანი!
იჩქარეთ მანამ ჯერ
არ არის გვიანი:
იყიდეთ ბილეთი
უხვ მომგებიანი!

რუსეთის რევოლუციის გარშემო

მოკლე წერილში განმარტება რუსეთის დიდი რევოლუციის ყველა თვისებების —შეუძლებელია. ამას მთელი ტომები, დაწვრილებითი გამოკვლევები უნდა, რაც დიდ დროს და გამოკვლევას თხოულობს.

მაგრამ ზოგიერთი მისი თვისებების აღნიშვნა ახლავე შეიძლება.

რომ რუსეთის რევოლუციას განსაკუთრებული ხასიათი აქვს, ამაში მგონი ყველა დამეთანხმება. რომ იგი წარმოშობილია არა მარტო შინაგან ძალთა განწყობილებ საგან, არამედ იმ საგარეო ჭიდილით, რომელსაც მსოფლიო ომი ეწოდება ესეც არ უნდა იყოს სადავო.

ამ გარემოებამ მისცა განსაკუთრებული ხასიათი რუსეთის რევოლუციას.

იდეოლოგიურათ იგი უკიდურეს სოციალისტურ ლოზუნგების ქვეშ ტარდება. რეალურად კი მისი შედეგები—სუსტი, ნახევრათ ფეოდალურ სახელმწიფოს დარღვევა და დაქუცმაცებაა.

შემდეგში ამას შეიძლება მოჰყვეს ხელახალი აღდგენა, ეჭვი არაა, ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივობის სახით.

ამიტომ ლოზუნგები დამახასიათებელია მხოლოდ მომქმედ პარტიათა სოციალურ მისწრაფებების. რევოლუციის შედეგები კი ძალთა განწყობილების.

და რომ ამ ძალთა განწყობილებაში ურევია არა მცირედი ელემენტი აზიური ეკონომიური ურთიერთობის და პოლიტიკური შეგნებისა, ამას განა დიდი მტკიცება უნდა?

არავინ არ უარყოფს, რომ რუსეთი ნახევრათ აზიური ქვეყანაა, არა მარტო ძველი თვითმპყრობელობით, არამედ იმ ბაზისითაც, რომელზედაც ეს პოლიტიკური ბარბაროსობა ეყრნობოდა. რათ უკვირს ბ-ნ ფისას, რომელიც „შრომაში" მოღვაწეობს, რომ რუსეთის რევოლუციას თან ახლდეს ნიშნები იმ ძალებისა, რომელნიც მის წიაღში განისვენებდნენ?

ყველაზე საკვირველი ისაა, რომ ეს თავისებურობა უკვირს სოციალისტ-რევოლუციონერს.

ეს პარტია ხომ მუდამ იმის მტკიცებაში იყო, რომ რუსეთი სულ სხვა გზით და საშუალებებით ივლის, ვინემ ევროპა მიდისო.

და აი როცა რევოლუციამ ეს თავისებურობა გამოიჩინა, როცა მან საფრანგეთის დიდი რევოლუციის ამაყ და სახელოვან თვისებებში აზიური ანარქიაც ჩაურია, ესევე ესერები განცდენ, შეშფოთდნენ, ხელით და ფეხით მზათ არიან ეს ახალი მოვლინება თავიდან მოიშორონ.

რათა?

ახსნა უბრალოა. მათ თავისებურობა რუსეთისა მის დადებით მხარეთ ქონდათ წარმოდგენილი. ის უნდა ყოფილიყო უჩვეულო, უმტკივნეულო მსვლელობა სოციალიზმის ბედნიერ მხარისაკენ. მაგრამ ულმობელმა სინამდვილემ სულ სხვა გვაჩვენა. ოცნება უსისხლო რევოლუციისა არ გამართლდა. განსაკუთრებულობა აზიურ ფორმებში ჩამოყალიბდა, ანარქიის ტალღებათ მოედვა მთელ მხარეს. მაქსიმალიზმი, რომელსაც ოდიდეს რევოლუციონერობათ უხმობდენ ბალშევიკები და ზოგიერთი ესერები, ანარქიის საუკეთესო ნიადაგათ იქცა, მისი ცეცხლის შემნთები გამოდგა.

და განა ეს რომ აღვნიშნოთ, დიდი უბედურება იქნება?

„დღეს სოციალდემოკრატები იმ მაქსიმალიზმს, რომლითაც განსაკუთრებით ხასიათდება რუსეთის რევოლუცია, რეაქციონურს უწოდებენ". ამბობს ბ ნი ფისი („შრომა" № 36).

სრული ჭეშმარიტებაა. განა სხვა სახელი დაერქმევა რუსეთის თავაშვებულ ბალშევიზმის მაქსიმალიზმს?

მაგრამ ჩვენ რომ ვინმემ დაგვაბრალოს ამავე მაქსიმალიზმს ქებას ასხამდით წინათო, ეს კი სიმართლე არ იქნება.

ვინც ირ. წერეთელის ისტორიულ სიტყვებს გაიხსენებს—ბალშევიზმი გაუღებს კარებს რეაქციასო, ის დამეთანხმება, რომ ბალშევიკურ მაქსიმალიზმს იმ თავითვე სადი თვალით უყურებდა სოც. დემოკრატია.

მარა მაქსიმალიზმი ხომ თავის თავათ არ არის აზიურობა. რასაკვირველია არა. აზიურობაა, როცა ეს მაქსიმალიზმი ჩამორჩენილ, აზიურ ეკონომიურ ურთიერთობის ნიადაგზე აღმოცენდება. და ასეთი საფუძველია ჩამორჩენილ გლეხობის თემური წყობილება, რომლის იდეალიზაციას წარმოადგენს მიწის სოციალიზაცია.

რუს. ს. დ. მეთაურთა მთელი იდეური ბრძოლა დღიდან მისი დაარსებისა ამ რეაქციონურ უტოპიასთან ბრძოლაში ჩატარდა. და თუ იგი ამ იდეური ბრძოლით ვერ დამარცხდა, ეს იმიტომ, რომ იდეა მისდევს ცხოვრებას და არა ცხოვრება იდეას. იგი დამარცხდა მუშებში, მაგრამ ვერ დამარცხებოდა რუსის გლეხობაში.

შედეგი? ბალშევიზმმა, რომელიც რეაქციონური მაქსიმალიზმის მატარებელია, ის თავის გულში ჩაიკრა, მემარცხენე ესერებთან ერთად კანონათ აქცია და ქვეყანას მის განსახორციელებლათ მოაწოდა. ცხოვრების სინამდვილემ ეს კანონი უკუღმა გადაატრიალა, მასში ჩადებული ზრახვანი გააუქმა და შიშველი ანარქია და მიწის დაყოფა მოგვცა. ესაა იგი სწორეთ ის, რასაც ასეთი [illegible] ებრძვის ესერთა იდეოლოგია.

და აი ამაში გამოიხატა ერთის მხრით აზიურობა. რუსეთის რევოლუციის სხვა აზიურ თვისებებზე ბევრს არ ვილაპარაკებ. აღვნიშნავ ერთს: საფრანგეთის რევოლუციაში დემოსის გაბატონებამ მონტანიარების სახით, მოგვცა ტერორი, რომელსაც უნდა ეხსნა და იხსნა კიდეც საფრანგეთი გარეშე და შინაური მტრებისაგან.

როცა აზიელმა ბალშევიზმმა ამ გმირთა მაგალითს მიბაძა—მივიღეთ მასსიური ჟლეტა ბრალიანის და უბრალოს, დამარცხება შინ და გარეთ რევოლუციური რუსეთის. ასეთი დამარცხება დაემართა რევოლუციის დროს მხოლოდ ოსმალეთს: იგიც დაიყო და დანაწილდა რევოლუციის ხანაში.

ამით რუსეთის ამბები ოსმალეთის 1908 წლის რევოლუციას წააგავს და არა საფრანგეთისას. და აი ამაში იხატება მისი აზიურობა.

მარა ჩვენ არ ვამბობთ, რომ რუსეთის რევოლუცია მხოლოდ აზიურია. პირიქით, ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ მასში ბევრია საფრანგეთის დიდი რევოლუციის მსგავსი მომენტები, თუნდა რევოლუციის პირველ თვეების ცხოვრებიდან. მონაწილეობა მასსისა, სიძლიერე და სიღრმე იმ მიზნებისა და მისწრაფებებისა, რომელიც რევოლუციურმა ხალხმა დაისახა სირთულე და საერთაშორისო ხასიათი იმ პირობებისა, რომელიც მის წინაშე წამოიჭიმა, და საშუალება, რომლითაც მის გადაჭრას მოწინავე რევოლუციის ავანგარდი შეუდგა—ყველა ეს დიდი, პროგრესიული და ევროპიული სახეს მქონე იყო.

და ამით რუსეთის რევოლუცია მუდამ დიადი, უმაგალითო და მართლა არა ჩვეულებრივი დარჩება.

სპეკულიანტებისთვის

ამ რამდენიმე ხნის წინეთ გამოვიდა კანონი სპეკულიანტების წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთა უზომო თავგასულობას რაიმე ლაგამი უნდა ამოსდებოდა. საჭიროთ იქნა მიჩნეული ასეთ ლაგამათ მათ კანონის და სამართლის წინაშე პასუხისმგებლობა ყოფილიყო. მაგრამ დღემდე ვერ ვხედავთ ამ კანონის შედეგებს. სპეკულიაცია კი ისეთი მოურიდებელი არსებაა, რომელიც ყოველ პირობებში და გარემოებებში ფარფაშებს. მას შემდეგ, რაც კანონი გამოიცა, ფასები საქონელზე კიდევ უფრო მაღლა იწევს.

გაზეთებში ცნობებია ამა და ამ ადგილას დაიჭირეს ფუთობით შაქარი, დაიჭირეს გადამალული საქონელი და სხვ. მაგრამ იშვიათია ცნობა, რომ თვითონ სპეკულიანტი დაეჭიროთ და სამართალში მიეცეთ.

ჩვენ გვიკვირს ასეთი მდგომარეობა საქმის. სპეკულიაციის კანონის ერთი მიზანთაგანი იყო დაენახვებინა ამ შავი ძალებისთვის, რომ მათი ბნელი მოქმედება დაუსჯელათ არ დარჩება.

სწორეთ პირადათ მათი სამაგალითოთ დასჯით უნდა თვალსაჩინო გამხდარიყო ყველასთვის, რომ კანონის დარღვევა უფრო მეტ ზარალს აძლევს, ვინემ სპეკულიაცია მოგებას.

თორემ ასი ფუთი შაქრის წართმევას რათ ინაღვლებს ის, ვინც ხვალ შესძლებს უფრო მოხერხებულათ გაჰყიდოს 10 და ოცი ფუთი ერთი ორათ აწეულ ფასებში?

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მილიციას და ყველა იმ რაზმებს მიეცეს განკარგულება ყოველ სასპეკულიაციო საქმისთვის არა მარტო საქონლის ჩამორთმევის, არამედ თვით სპეკულიანტთა დატუსაღების და შესაფერი ოქმით სამართალში გადასაცემათ. აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია აგრეთვე ყველა ასეთი ფაქტის შესახებ დაწვრილებითი ცნობების მიწოდება გაზეთებისათვის, რომ ყველამ იცოდეს სახელი და გვარი ამ ნამდვილი კონტრ-რევოლუციონერებისა და ხალხის მტრების.

საჭიროა განმარტება

მთავრობის მოამბე — „საქართველოს რესპუბლიკა"-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: „შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით სამინისტროსთან არსებულ საგანგებო რაზმმა დაატუსაღა გიორგი და დავით ბაგრატიონ—დავითაშვილები, რომანოზ და ივანე ბეგთაბეგოვები და ალექსანდრე დეკანოზიშვილი. მათ ბრალდებათ სახელმწიფოს წინააღმდეგი და სასპეკულიაციო მოქმედებები".

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, თუ რა სახისაა იმ პირების სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმეები. ყველა ესენი წარჩინებულ გვარის შვილებია, მათში ერთი, რამდენადაც ვიცით, ყოფილი თავად აზნაურობის წინამძღოლია. მართალია, დღეს ბევრი გაიტაცა სასპეკულიაციო საქმეებმა, მაგრამ არ არის დასაჯერებელი, რომ ეს პირები სპეკულიაციისათვის იყვნენ დაჭერილნი. ყოველ შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა აქვს ამ პირების სახელმწიფოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რასაც მთავრობის მოამბეც აღნიშნავს. დემოკრატიას ძალზე აღელვებს ეს ამბავი. უკვე აშკარათ ლაპარაკობენ აღნიშნულ პირების მოქმედებაზე, რომელიც მიმართული ყოფილა პირდაპირ გლეხობის წინააღმდეგ, ხოლო არაპირდაპირ არსებულ კანონების აშკარა და თავხედურ დარღვევისკენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საზოგადოებას უნდა ეცნობოს საქმის ნამდვილი ვითარება, განსაკუთრებით კი საჭიროა ვიცოდეთ: მიცემულნი არიან თუ არა აღნიშნული პირები სამართალში.

პრესა

როგორც ვიცით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ორათ გაიყო. საინტერესოა ვიცოდეთ ამ გაყოფვის მიზეზი და ისიც, თუ რას წარმოადგენს დღეს ის. თვითონ ნაციონალ-დემოკრატები გვიადვილებენ საქმეს. პირველათ მოვუსმინოთ „პროტესტანტებს",—ბ.ბ. ვეშაპელს, გაბაშვილს და სხვ., რომელნიც პარტიიდან გაიქცენ და დამოუკიდებელი ეროვნულ დემოკრატიული პარტია შექმნეს. ამათი ორგანო, ყოველკვირეული კლდე სწერს (იხ. № 2):

„ჩვენი პარტიის პროგრამას და ტაქტიკას არღვევდა ის „მემარცხენე" ფლანგი, რომელიც მუდამ პარტიის „ბურჟუაზიულ" რეორგანიზაციაზე გაჰკიოდა და მუდამ მარცხდებოდა.

ეს „ბურჟუაზიული" ფლანგი ნამდვილ ეროვნულ ტრადიციის მრეწველთა და ვაჭართა შეთანხმებით კი არ მოქმედებდა, არა, „ბურჟუაზიული" რეორგანიზაცია საპარლამენტო ფრაქციისა იყო ფარდა, რომლის უკან აკეთებდა თავის საქმეს აკაკი ხოშტარიას და რაჟდენ დათეშიძის ცნობილი ჯგუფი. ამ ჯგუფის სპეკულიანტთა გავლენა იყო, რასაკვირველია, არა იდეური, არამედ ფინანსიური...

„მათ უნდოდათ თავისი კაცი მთავრობაში სხვადასხვა კომბინაციებისათვის".

„კლდე" ჩამოსთვლის კიდევ სხვა ფაქტებს და ასე ასაბუთებს პარტიიდან გასვლას და ახალ პარტიის დაარსებას: „ჩვენ ნაციონალისტებმა ვეღარ გავძელით ამ ჭაობში და სწორეთ ამიტომ დავაარსეთ დამოუკიდებელი (ვისგან?—პირველ ყოვლისა სპეკულიანტებისაგან) ნაციონალ დემოკრატიული კომიტეტი და საპარლამენტო ფრაქცია".

ახლა ყური დავუგდოთ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მეორე ფლანგს. გაზეთი „საქართველო" (№ 178) აგვიწერს „დამოუკიდებელ" ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის გაჩენის ამბავს და ამბობს:

„განშორება აუცილებელი შეიქნა და დამოუკიდებელი ოჯახის გაჩენა საკუთარი პოლიტიკური არსებობის მორიგ საკითხად გადაიქცა. დამფუძნებელი კრება გაიმართა ერთ-ერთ ისიდენტის ბინაზე დიდ გვარის მემამულე თავადების საზოგადოებაში. პირველი საპროგრამო და სატაქტიკო სიტყვები აქ წარმოითქვა. მოხდა მაჩაბელ-ვაჩნაძის დამოუკიდებელი პოლიტიკური ოჯახის ნათლობა. ნათლიათ გამოვიდა წოდებით გლეხი (ამას ალბათ ტაქტიკის სიბრძნე მოითხოვდა) მათი ცენტრალური კომიტეტის ემბრიონიც ჩაისახა.

მირონით შეკრული და შენათესავებული ჯგუფი საჯარო გამარჯვების საღლესასწაულოთ დაირაზმა. უნდა დაენახვებიათ ქვეყნისთვის, რომ მათ ზურგს უკან „ხალხი" სდგას. იმ ხანობას თფილისში ეწყობოდა მიწის მესაკუთრეთა კავშირი. არსებითად ეს იმ მემამულეთა ორგანიზაციაა, რომელნიც ემზადებიან პოლიტიკურ გამოსვლისთვის.

ჩვენი პარტიის მთავარ კომიტეტის ნაბიჯმა, ამგვარათ ეს ხალხი გაანთავისუფლა იდეოლოგიურ კომპრომისის ტყვეობისგან და რაკი ერთხელ თავი დამოუკიდებლათ იგრძნეს იარეს და სრულიათ ბუნებრივათ თავად-აზნაურობის—მემამულეთა წრეს მიადგნენ".

ასე ახსიათებენ ერთმანეთს ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის ორი „ფლანგი". გაბაშვილ—ვეშაპელის ფრთა სპეკულიანტობის მეტს ვერას ხედავს გერონტი ქიქოძის და სპ. კედიის ფრთაში, ეს უკანასკნელი კი თავად აზნაურობის წარმომადგენლებათ თვლის პირველს. რომელი დახასიათებაა მართალი?

ჩვენ ჯერ-ჯერობით ნება არა გვაქვს არ დაუჯეროთ ერთს ან მეორეს.

* * *

„კავკაზსკოე სლოვო" მოწინავე წერილს უძღვნის ბ-ნ ხან-ხოისკის საქციელს, რომელიც გამოიხატა გერმანელებისადმი მიმართვაში. ბ-ნი ხან-ხოისკი გერმანელებს სთხოვდა საქართველოს მოქალაქე მუსულმანების დაცვას, ე. ი. საქართველოს საქმეებში ჩარევას.

როგორ იქცევა „კავკაზსკოე სლოვო"? ის სულაც არ ფიქრობს უარყოფით მოექცეს ბ-ნ ხან-ხოისკის საძრახ საქციელს. პირიქით, ისიც იმავე წინადადებით მიმართავს გერმანელებს და სთხოვს ჩაერიოს ამიერ-კავკასიის საქმეებში. ის ასე ასაბუთებს თავის თხოვნას:

„ცივილიზაციის გრძნობები ერთობ ძლიერი აქვთ მოწინავე ნაციებს, რომელთაც ველურ ქვეყანაში სინათლის და სამართლიანობის ლამპარი შეაქვთ. ცივილიზაციის მაღალი დანიშნულება უკარნახებს მათ ბოლომდის მიიყვანონ კაცობრიობის მაღალი საქმე".

რითი განსხვავდება „კავკაზსკოე სლოვო" ბ ნ ხან ხოისკისაგან? მხოლოდ იმით, რომ ადერბეიჯანის მთავრობის წარმომადგენელი მიმართავს გერმანიას საქართველოს საქმეში ჩარევისათვის, ხოლო რუსულ სომხური გაზეთი სთხოვს იმავე გერმანელებს ჩაერიონ საერთოდ კავკასიის საქმეებში.

ასეთია ამ ვაჟბატონების პოლიტიკური მოღვაწეობა.

საქართველოს გარშემო

III.

გაზეთ „პრიაზოვსკის კრაი"-ს ის ნომერი, რომელშიაც საქართველოს წინააღმდეგ გრ. ჩალხუშიანის წერილი ყოფილა მოთავსებული, ჩვენ ხელთ არა გვაქვს. ჩვენ მოგვეპოვება დონის როსტოვის ქართული საზოგადოების გამგეობის პასუხი ამ წერილზე („პრ. კრ." № 124), რომელშიაც გრ. ჩალხუშიანის წერილს ეწოდება ცილისწამება საქართველოზე და გრ. ჩალხუშიანის პასუხი შემდეგი სათაურით: რაში მდგომარეობს ცილისწამება? („პრ კრ." № 130).

გრ. ჩალხუშიანი თავს პუბლიცისტს უწოდებს. ისე ხელობით ის ნაფიცი ვექილია. ვისაც მისი პუბლიცისტური მოღვაწეობისთვის რუსულ მწერლობაში თვალყური უდევნებია, მისთვის აშკარა იქნებოდა, რომ გრ. ჩალხუშიანი „სომხურად" მოაზროვნე და ამ აზრების რუსულად ქაღალდზე გადამტანი პუბლიცისტი თუ ჟურნალისტია.

ამას ჩვენ იმიტომ ვამბობთ, რომ გარდა სომხეთისა და სომხებისა მას, ეგონებ, სხვა თემაზე სრულიადაც არაფერი დაუწერია. ასე სწერდა ომამდე, ასევე განაგრძობს წერას ახლაც.

როცა როსტოვის გაზეთებში მის წერილებს ჰკითხულობთ, თავს ძალაუნებურათ შეეკითხებით— ნუ თუ სხვა მასალა, გარდა სომხეთისა, ამ მწერალს არ მოეპოვება?

ამას გარდა, გრ. ჩალხუშიანი ხმაურობის გამოწვევის, „ბოხის ხმით“ მოლაპარაკე თუ წერის პუბლიცისტია!

როცა ქართველ სომხებთა „უთანხმოების“ ამბავი მივიდა როსტოვში, რომელიც, ვგონებ, პოლიტეხნიკუმისთვის ადგილის არჩევანს მოჰყვა, გრ. ჩალხუშიანმა დიდ წერილი მოათავსა გაზეთებში აწ განსვენებულ მაქსიმ კოვალევსკისადმი, სადაც დიდ მასწავლებელს სთხოვდა ჩარევოდა ქართველ სომხებთა გამწვავებულ დამოკიდებულებათა მოგვარებაში!

საქართველოში მცხოვრებ რუსების შეახებ წერა, მათთვის თავის გამოდება გრ. ჩალხუშიანის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში ჩვენ მიგვაჩნია გამონაკლისად, მაგრამ, თუ მოვიგონებთ რუსთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის დეპეშის შინაარსს ოსთა ეროვნული საბჭოს თავმჯდომარისადმი მიმართულს, გრ. ჩალხუშიანის წერილის შინაარსი ჩვენთვის ცხადი იქნება.

გრ. ჩალხუშიანს თავისი „წვლილი“ შეაქვს საქართველოში მცხოვრებ წვრილ ერთა ინტერესების დაცვის საქმეში!

გრ ჩალხუშიანი კითხვას აყენებს, თუ რა არის ცილის წამებაო და მუხლობრივად პასუხს იძლევა.

უმთავრესად ის ეყრდნობა საქართველოდან წასულ უკმაყოფილო პირთა ცნობებზე, საქართველოსადმი მტრულად განწყობილ გაზეთების წერილებს, თუ ცნობებს.

პირველი საბუთი გ. ჩალხუშანისა ნიკოლაი ტუზმცევის წერილია „პრ. კრ.“ № 112-ში მოთავსებული, სადაც სწერია: „ქართველმა ნაციონალისტებმა სოცარი გაუტანლობა გამოიჩინეს ყველა არა-ქართველთადმი. პირველად ყოვლისა ეს გაუტანლობა იგრძნეს ყველა რუსებმაო“.

ამასვე ამბობდა, გრ. ჩალხუშიანის სიტყვით, თავის მოხსენებაში პოდპოლკოვნიკი ვორონოვი. ამასვე ვამტკიცებდი მე ჩემს წერილში, საგაზეთო მასალების და ნომრების აღნუსხვით. მე მომყავდა „ნოროდნაია სვობოდას“ წერილი, სადაც ავტორი გულისწყრომით აღნიშნავდა რუსი აფიცრების დამსახურებაზე საქართველოს წინაშეო, დასძენს გრ. ჩალხუშიანი.

შემდეგი საბუთები გრ. ჩალხუშიანისა ასეთია:

„მე, როგორც პუბლიცისტი, დიდათ დავინტერესდი რუსი ხალხის ბედით, რომლებიც უეცრად თავისუფალ საქართველოში მოემწყვდენ, სადაც მათ დევნა-შევიწროვება დაუწყეს.

„ვიდრე საქართველო რუსეთის ნაწილს შეადგენდა, ყოველ რუსს შეეძლო ის თვის სამშობლოთ ჩაეთვალა.

„ქართველებს ხელში ჩაუვარდათ რუსთა აურაცხელი სიმდიდრე.

„რას წარმოადგენდა თფილისი ამ 117 წლის წინად, ახლა ეს პატარა პარიზი?

„რას წარმოადგენდა მთელი საქართველო—მდიდარი ბუნების სიუხვით და ღარიბი კულტურითა და წეს-რიგით. რით განსხვავდებოდა ის სომხეთისა გინდ სპარსეთისაგან, რომლებიც ამ ჟამად ნანგრევებს და წარმოადგენდენ? მე ვამტკიცებდი, რომ ყველა ეს კულტურა, ყველა ეს სიკეთე, მთელი ეს სიმდიდრე საქართველოს მიანიჭა რუსის გენიამ, რუსის სიძლიერემ, რუსის სახელმწიფოებრივობამ.

„ყველა ის, რაც საქართველოს ამ ჟამად მოეპოვება, შექმნილია რუსების ხიშტებითა და რუსეთის მილიარდებით.

„განა ქართველებს არ უნდა გადაეხადათ წინანდელი პატრონების ვალები მილიარდებათ ღირებულ ქონებათა ხელში ჩაგდების შემდეგ? ამას ხომ უბრალო პატივის ვალი მოითხოვდა!

„რაც შეეხება იმას, თუ როგორი თავშესაფარი მიეცით ლტოლვილებს, ამის შესახებ უკეთესი იყო გაჩუმება. „ტრუდოვოე ზნამია“ ს (7 აგვ. № 41) გულისამღვრევ ამბებს იუწყება დედოფლის წყაროდან, საიდანაც შინ. საქმეთა მინისტრის სოც.-დემ. რამიშვილის და სიღნაღის კომისარის ტყემალაძის განკარგულების თანახმად მათრახებით და ცხელი ტყვიებით მიერეკებოდენ ლტოლვილ სომხებს შირაქის უდაბნოში“.

ბევრი ამ გვარი საბუთები აქვს გრ. ჩალხუშიანს მოყვანილი თავის წერილში და თან დასძენს:

„შეიძლება დავსძინო ქართველების სასახელოდ, რომ ასეთი მკაცრი შოვინისტური მიმდინარეობა წინააღმდეგობას პოულობს თვით საქართველოში და ხალხის მასა ამ მიმდინარეობას არ თანაუგრძნობს“ ო.

რა გინდ ძლიერი არ უნდა იყოს გარეშე ძალა, მისთვის მაინც საძნელო საქმე იქნება საქართველოს რესპუბლიკაში თავისი ზრახვების გატარება, თუ შინაური ძალის ნაწილი მაინც არ არის მის მხარეზე; ამიტომ გრ. ჩალხუშიანი და მისი თანამოაზრენი საქართველოს შიგნით ეძიებენ ამ გვარ ძალებს, ნიადაგს შინჯავენ!

არ უნდა გაგვიკვირდეს ამის გამო, თუ ჩალხუშიანები ზოგჯერ საქართველოს „შინაური ძალების“ მებაირახტრეთ დავინახოთ—დუშეთში იქნება ეს, სამეგრელოში, ლეჩხუმში თუ სხვა ადგილებში, სადაც ხალხის ფართო მასა უკმაყოფილო იქნება „შოვინისტური მიმდინარეობით“.

ეს მიზანი აქვს გრ. ჩალხუშიანის წერილს იმ ადგილს, რომელიც ქართველ მასსისადმი ქათინაურებს შეიცავს.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

26 სექტემბერი.

ტრანს ოკეანეს პრეს-ბიუროს ცნობები

16 სექტემბერს მტერმა ყუმბარები ჩამოჰყარა ბევრ გერმანულ ქალაქებსა და სოფლებში, რეინისა და მოზელის ახლოს, რომელთაც არავითარი სამხედრო მნიშვნელობა არ ჰქონიათ. მაინცში იოანეს ტაძარი ოდნავ დაზიანდა, შტუდგარტში მოჰკლეს 6 ქალი და 4 ბავშვი და აგრეთვე დასჭრეს რამოდენიმე ქალი. მაგიერი მტერს 36 საათის განმავლობაში დიდი ზიანი მივაყენეთ, ჩამოვაგდეთ 9 აეროპლანი. მტრის იერიში ამიტომ უშედეგოდ დამთავრდა მისთვის. გერმანიის ხალხი თავის დღეში არ დაივიწყებს მტრის მიერ მაინცში რწმენის შელახვას და შტუდგარტის მკვლელობებს.

სამხედრო მდგომარეობის შესახებ კაპიტანი ს. მ. სწერს „სან-გლერ ტაგებლატში“: „როცა კაცი კითხულობს ინგლისის სამხედრო მოხსენებებს, კაცს ეგონება ჰინდენბურგის ხაზი გარღვეულიაო. მაგრამ ეს არაა სიმართლე. ინგლისელები გუზოკურს ველარ ასცილდენ, ასე რომ გამარჯვება საშუალო იყო. ფრანგებს პარალელური შემოტევაც დაკმაყოფილდა მხოლოდ ძველი ჰინდენბურგის ხაზით. მოკავშირეებმა აიძულეს მოწინააღმდეგე დაეკავებინა ის გამაგრებული პოზიციები, საიდანაც მისი განდევნა ყოვლად შეუძლებელი იქნება.

ლონდონი. ბრიტანიის უმავთულო ტელეგრაფის ცნობა. პალესტინის ფრონტის სპეციალური სამხედრო კორესპონდენტი სწერს: „ის ალაგები, საცა მე გავლა მომიხდა სავსეა ათასგვარი სამხედრო მასალებით. ნაბლუსი აიღეს ავსტრალიის და ფრანგთა ცხენოსანმა ჯარებმა. აგრეთვე აიღეს მესუდანი და სამარის მხარე, მტერი ცდილობდა იორდანის აღმოსავლეთით მდებარე დამსკის ვიწროებში თავს გადარჩენას“.

27 სექტემბერი.

ბერლინი. ლისის რაიონში და მეგრის არხის ჩრდილოეთით მოწინავე რაზმების ბრძოლაა.

ვეპის და ბელეკურტის სამხრეთ აღმოსავლეთით კერძო შეტაკებებია. ამინიონის წყაროსა და სომმის შუა მტერს იერიშები მოჰქონდა. პირველი იერიში მოვიგერიეთ. ძლიერი იერიშებით მოდიოდენ პონტრიუესა და გრიკურტის წინააღმდეგ. მტერმა დროებით შესძლო ამ მაღლობებზე გამაგრება, მაგრამ კონტ. იერიშ. ჩვენ ისინი გავრეკეთ აქედან. ნაშუადღევს ფრანგებმა განაახლეს იერიშები ფროსილისა და სომმის შუა. იერიშები მოგერიებულ იქნა და ტყვედ წამოვიყვანეთ 200 კაცი.

ვენა. ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტზე ინგლისელების იერიშები ჩვენი ახალი პოზიციების წინააღმდეგ უნაყოფოა.

ბერლინი. ოსმალეთ გერმანიის მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ დიდმა ვეზირმა თალაათ ფაშა 23 სექტემბერს სტამბოლს გაემგზავრა. გამოსათხოვრად გამართულ სადილზე მან ილაპარაკა ომის მიზნების შესახებ და ის აზრი გაატარა, რომ ოსმალეთი და მისი მოკავშირენი იძულებული გახდენ ხელთ იარაღი აეღოთ, რომ დაეცვათ დამოუკიდებლობაო.

რეიხსტაგის მთავარი კომიტეტის სხდომაზე სახელმწიფო კანცლერმა თანხმობა განაცხადა ზოგიერთ საყურადღებო შეკითხვებზე პასუხი გაეცა. მან აღნიშნა, რომ დასავლეთ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობა საშიშროებას არ წარმოადგენს, რამდენი არ უნდა ეცადონ მოწინააღმდეგენი აქ ჩვენს ფრონტს ვერ გაარღვევენ. ახლანდელზე უფრო საშინელი მდგომარეობა გადაგვიტანია ღირსეულად, არც ახლა შევდრკებით მტრების წინაშეო და სხ.

ამსტერდამი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ ინგლისის გემი „გორდონი“ ზღვაზე დარჩა ცეცხლ გაჩენილი, რომელიც „კომანდას“ დაუტოვებიაო.

ბერლინი. „ტაიმსის“ კალკუტიდან მიღებული ცნობით იქ 10 სექტემბერს მაჰმადიანებს შორის აჯანყებამ იფეთქა. ერთ ალაგას პოლიციამ აჯანყებულებს ესროლა. მოჰკლეს აჯანყებულთა მეთაური და დასჭრეს რამდენიმე კაცი.

სტოკჰოლმი. ინდოეთში დაპატიმრებულ იქნა პოეტი თაგორი, რომლის წინააღმდეგ საქმეა აღძრული. თაგორი შანხაიში გაგზავნეს. როგორც ამბობენ, მას ახლო კავშირი ჰქონია აჯანყებულებთან.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საოლქო კომიტეტის ბიუროს კრება.

◆ **ნავთის შესახებ.** საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეატყობინა ადერბეიჯანის დიპლომატიურ წარმომადგენელს, რომ საქართველოს მთავრობა აგზავნის ბაქოში თავის რწმუნებულს ნავთის შესასყიდათ. ამისათვის ალ. კანდელაკსა, ალ. ტოლსტონოგოვს მიეცა 2 მილიონი მანეთი. გარეშე საქმეთა სამინისტრო სთხოვს ადერბეიჯანის მთავრობას ნება დართოს 2 მილიონი მანეთი გაგზავნოს სახელმწიფო ბანკის ბაქოს განყოფილებაში მიმდინარე ანგარიშისთვის მთავარ რწმუნებულთა მისაცემად.

◆ **საზღვაო კომისიაში.** ამ დღეებში შესდგება საზღვაო სატეხნიკო კომისიის შერეული სხდომა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის დელეგაციისა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები. სხდომა გამოარკვევს ზოგიერთ საკითხებს, რომელიც შეკავშირებულია გერმანელთა ჯარის მიერ საქართველოს გემების შავ ზღვაზე სარგებლობასთან.

◆ **ტყიბულის მუშები** ქუთაისის გუბერნიის კომისრისა და ქუთაისისა და ჭიათურის მუშათა ორგანიზაციებთან მოლაპარაკების შემდეგ ტყიბულის მუშები ითანხმდენ შრომის პირობების მოწესრიგების საკითხი გადაეცეს თფილისის, ქუთაისის, ჭიათურისა და ფოთის მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარ თათბირს, რომელშიაც მონაწილეობა უნდა მიიღონ შრომისა და გზათა სამინისტროს წარმომადგენლებმა. შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა პროფესიონალური კავშირისა და მუშათა საბჭოს, რომ მათაც გაგზავნონ თავიანთ წარმომადგენლები. თათბირი გაიხსნება თფილისში 30 სექტემბერს. თთ. მუშ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა გაგზავნა დ. ხართიშვილი.

◆ **აბასთუმანში** ჩვენი მთავრობის დავალებით და ოსმალთა მთავრობის ნებართვით მამულების ჩასაბარებლად მიემგზავრებოდა შ. იოსელიანი, ე. რამიშვილი და ექვ სართანია, გზაზე ისინი ოსმალოებს დაუტყვევებიათ. პირველ ორს აღმოჩენიათ „ხოლერის ვიბრიონები“, ამიტომ დაუკავებიათ, ხოლო უკანასკნელი გაუთავისუფლებიათ.

◆ **სახელმწიფო ქაღალდების** დამზადებულ ექსპედიციაში აღმოჩენილ იქნა 1 015,000 მანეთის ქურდობა. ამის გამო დააპატიმრეს საწყობის მცველი ჯარის კაცები: მარკარაშვილი, ზალაშვილი, თოფურია, ქორდავა, ბუნტური, გავრილოვი, პოპოვი, თათარიშვილი, ედიგაროვი, გზირიშვილი და დარაჯების უფროსი პოდპორუჩიკი ციციანოვი.

◆ **შეკითხვა.** დამოუკიდებელ ნაციონალ დემოკრატების ფრაქციამ ეროვნულ საბჭოში შეიტანა შეკითხვა თფილისის გუბერნიის ყოფილ თავად აზნაურთა წინამძღოლის გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილის და სხვათა დაპატიმრების შესახებ.

◆ **გერმანიის მისიის** ოფიციალურ ცნობით ბაქოში ამ ჟამად არის 30 მილიონი ფუთი გამოუხდელი ნავთი, 40 მილიონი მაზუთი, 11 მილიონი გამოხდილი ნავთი, 9 მილიონი ზეთი, 1 მილიონი გაწმენდილი ზეთი, 800,000 ფუთი ბენზინი. შეტევის დროს დაიწვა ასი ათასი ფუთი ნავთი.

◆ **რაჭა-ლეჩხუმის რაზმმა** უკანასკნელ დროს აჰყარა წესის საზოგადოებას იარაღი და 20 სექტემბერს საღამოთი,—ონში წავიდა ზემო-რაჭაში სამოქმედოთ.

◆ **შაქრის წარმოება.** მიწად მოქმედების სამინისტრომ მთავრობაში შეიტანა თხოვნა საზოგადოება „შაქარი“ ს მიეცეს ბორჩალოს მაზრაში 5,000 დესეტინა მიწა იქ ჭარხლის მოსაყვანად და საქართველოში და აგრეთვე კავკასიაში პირველი შაქრის ქარხნის ასაშენებლად.

◆ **ხოლერა.** უკანასკნელ დღეებში ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს 2 ხოლერიანი; მორჩა და გამოეწერა 6 კაცი, მოკვდა 1. ამ ჟამად საავადმყოფოში იმყოფება 91 ხოლერიანი და 15 საეჭვო.

◆ **სომხეთა წარმომადგენელნი.** 25 სექტემბერს სომხებს უნდა აერჩიათ საქართველოს ეროვნულ საბჭოში 10 წარმომადგენელი. სოციალდემოკრატებმა დაასახელეს: ფერუმოვი და ივანიანცი, ს.-რევოლუციონერებმა ლ. თუმანოვი და თარხანოვი, კადეტებმა დოლუხანოვი და ბარხუდაროვი, დაშნაკელებმა დავიდხანიანი, ავეტისიანი და ზორიანი. დარჩა ერთი კაცი ამოსარჩევი, რომლის არჩევაში ვერ შეთანხმდენ პარტიები. სოც.-დემოკრატებმა დაასახელეს ამხ. ერზეკიანი. პირველად დაშნაკელები მომხრე იყვნენ მეათე სოც.-დემოკრატებს გაეყვანა. ბოლოს, რადგანაც სოც.-რევოლიუციონერები დაშნაკელებს მიემხრენ, უკანასკნელებმაც თავისი კანდიდატის გაყვანა მოისურვეს. კადეტები სოციალ-დემოკრატებს უჭერენ მხარს. მათ განაცხადეს, რომ თუ ს. დ. კანდიდატი არ გავა, ხმას არავის არ მივცემთო.

◆ **სამხედრო მინისტრმა** აცნობა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ იმ სამხედრო საქონელში, რომელიც სომხეთა ეროვნულ საბჭოს ჰქონდა ერევანში, აღმოჩნდა ბევრი კერძო საქონელი და საინტენდანტო მასალა, როგორც, მაგალითად, ფეხსაცმელები რამდენიმე ასი წყვილი, ჩაი და შაქარი, რომელიც უნდა დაუბრუნდეს საქართველოს საინტენდანტოს. სამხედრო მინისტრი სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს შესაფერი დასკვნით მოხსენდეს ეს საქმე მთავრობას.

◆ **ქუთაისის გუბერნიის** ფერშალთა და ბებია ქალთა კავშირი სთხოვს მთავრობას ჯამაგირების მომატებას, ვინაიდან ძველი ჯამაგირით მათ ცხოვრება არ შეუძლიათ. თუ მთავრობა მათ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებს, ისინი იძულებულნი არიან სამსახურიდან გავიდენ.

◆ **დრამატიული დასი.** შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგინ ქართველ მსახიობთა კავშირის წარმომადგენელნი გ. შალიკაშვილი და შ. დადიანი, რომლებმაც აუხსნეს მინისტრს ქართულ სეზონის წარმოების საქმე თფილისში. მათი მოხსენების შემდეგ მინისტრმა ბრძანება გასცა შესდგეს დრამატიული დასი ძველი დამსახურებულ არტისტებისაგან სახელმწიფო თეატრში სეზონის საწარმოებლად. დასის შედგენა მიენდო სახ. თეატრის კომისარს წუწუნავას.

◆ **ქართული გიმნაზია** ორთავე სქესის ყმაწვილთათვის ს. და თ. გრიაზნოვების. გამოცდები და მისაღები გამოცდები პირველ და მეორე კლასში იწყება 1 ოქტომბერს. ვისაც პირველდაწყებითი სკოლა აქვს გათავებული, გამოუცდელად მიიღება პირველ კლასში. (ვერა, არაგვის შესახვევი, სიმონოვის სახლი № 21).

ქრონიკა.

დღის საღამოს 6 საათზე მეორე რაიონის ბიუროს ბინაზე შესდგება თფილისის ქალთა კომიტეტის მორიგი სხდომა.

— შაბათს 28 სექტემბერს საღამოს 7 საათზე მეორე რაიონის კოლექტივის ბინაზე დანიშნულია სოციალ დემოკრატიულ პარტიის ყველა ორგანიზაციების და ქალთა წარმომადგენლების კრება.

— კვირას, 29 სექტემბერს, საღამოს 6 საათზე სასახლის ჭამგის ბინაზე დანიშნულია ქართველ მწერალ ხელოვანთა კრება.

— 29 ენკენისთვის მოხდება ღვინის სარდაფებში და კანტორებში მომუშავეთა არა ჩვეულებრივი საერთო საზოგადო კრება პროფესიონალურ კავშირების შენობაში (პეტრე-დიდის ქ. № 18).

პროვინციის ქრონიკა.

სიღნაღი. 29 ენკენისთვეს ქ. სიღნაღში სამოქალაქო სკოლაში დილის 9 საათზე, შესდგება სიღნაღის მაზრის სოციალ დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენცია. ყველა რაიონებში მაზრის კოლექტივის მიერ გაგზავნილნი არიან ინსტრუქტორები, რომლებსაც დავალებული აქვთ კონფერენციის დღის წესრიგის გაცნობა და რაიონებიდან დელეგატების გამოგზავნა.

სიღნაღის მაზრაში ერობის არჩევნები დამთავრდა სოციალისტური ბლოკის სრული გამარჯვებით.

ოზურგეთის მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი სთხოვს სამაზრო ერობაში არჩეულ ხმოსნებს აუცილებლათ მობრძანდენ ოზურგეთში სამაზრო ერობის პირველ ყრილობაზე ორ ოქტომბერს, დღის სამ საათზე.

ჩოხატაური. 1 ოქტომბრიდან მთავრობის ნებართვით იქ ადგილობრივი საშუალებით იხსნება გიმნაზიის მეხუთე კლასი.

თელავის მაზრა ორ საარჩევნო ოლქათ იყო დაყოფილი, მეხუთეს შეადგენდა ქალაქ თელავი. წარდგენილი იყო სულ ორი სია. სია სოციალისტური ბლოკის, სადაც შედიოდენ ს.-დ. და სოც.-ფედ № 1 და მეორე სია ნაციონალ დემოკრატების. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო დაახლოვებით 40 პროც. ყველა მიცემულ ხმებიდან ნაციონალ-დემოკრატებმა მიიღეს მხოლოდ 14 პროც. და ისიც თელავში მდგარ მე 8 პოლკის მეოხებით. რაც შეეხება ქალაქ თელავის მცხოვრებთ და სოფლებს, აქ ნაციონალ დემოკრატები სავსებით დამარცხდნენ.

აი ცხრილიც ხმების:

მიიღეს	სოც. ბ. № 1	ნაც.-დემ.
ქალაქში დ პოლ.	774	314
ყვარელის ოლქი	1730	23
ნაფარეულის „	1261	42
იყალთოს „	1919	45
წინანდლის „	2182	120
სულ	7866	544

თანახმად მიცემული ხმებისა ნაციონალ დემოკრატებმა ვერც ერთი თავისი კანდიდატი ვერ გაიყვანეს.

პირველი სხდომა ერობის ხმოსანთა დანიშნულია 13 ოქტომბრისათვის ახალი სტილით.

ქართული ლატარია

მოხეტიალე მუსიკოსმა ილიკო ქურხულმა უკვე შეადგინა ქართული ლატარიის კავალკადის კომისია, რომელშიაც შედიან თითქმის ყველა ჩვენი სცენის საუკეთესო მხატვრული ძალები, რამდენიმე მგოსანი და ორატორები.

კომისიამ ერთ-ხმად მიიღო შემდეგი პროექტი:

პროექტს მიზნათა აქვს მიიზიდოს საყურებლად ხალხი და უბრალოდ აუხსნას და ანახოს მდაბიო ხალხს, მასსას თუ რა ჯოჯოხეთია უსწავლელობა და რა სამოთხეა სწავლა-განათლება.

ამისთვის ი. ქურხულს დასჭირდება ერთი საბარგო ავტომობილი, 10 „ეშმაკი“ 2 „გარადავოი“, 1 ყარაჩოღელი, 1 გლეხი, მგოსნები და ორატორები.

ეშმაკის როლებს შეასრულებენ: ალ. იმედაშვილი, ა. გუგუშვილი, ვ. ბარველი, კორიშელი, ფრანგიშვილი, ჩაგუნავა და ოთხიც მუსიკოს ტრამბონისტი.

ყარაჩოღელს ითამაშებს ვასო აბაშიძე, სოფლის დედაკაცს—ლ. ჩერქეზიშვილი, გლეხს—ქავძე, „გარადოვოებს“ საფაროვი და გვარაძე.

სინათლეში მონაწილეობენ: ილიკო ქურხული, გიორგი ქუჩიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, ნ ჩხიკვაძე, ვ. კოტეტიშვილი, ი. დაროშვილი და სხვანი.

კვირას, 29 ენკენისთვეს სახელმწიფო თეატრთან, დილის 11 საათზე კავალკადა ავტომობილზე მოთავსდება და დაიძრება ერევნის მოედნისკენ, აქედან მუხრანის ხიდით ციციანოვის აღმართამდე ავა და გაჩერდება ველაბარში კახეთის მოედანზე. აქ დაიწყება არტისტების თავისუფალი იმპროვიზაცია და ლატარიის ბილეთების გაყიდვა.

კახეთის კინის გზაზე

22 სექტემბერს, კახეთისკენ მომიხდა მგზავრობა. ის უწესოება, რაც საკუთარი თვალით ვიხილე, მინდა მკითხველს გაუზიარო.

პირველ ყოვლისა, მატარებელი დანიშნულ დროზე ორმოცი წუთით გვიან გავიდა სადგურიდან. მიზეზი ვერ გავიგეთ. ნავთლუღში მატარებელი საათ ნახევარი იდგა. სადგურის მორიგე მოხელემ აგვიხსნა, რომ ორთქლმავალს ახურებენ და იმიტომ არის მატარებელი გაჩერებულიო. ვიღამაც მოხელის შენიშნა: წინათ მაზუთით ათბობდენ, მაგრამ აქ მაინც ყაზროთ ალოდინებდენ ხოლმე საათობით მგზავრებსო. მეორემ დაუმატა: მემანქანე არ ვარგა, თორემ ამდენხანს აქ არ გაგვაჩერებდენო.

თავჩაღუნული დავბრუნდით უკან ვაგონში. როგორც იქნა, ვეღირსეთ ნავთლუღიდან გასვლას. თანამგზავრმა სასოწარკვეთილებით სთქვა: იმედი არა მაქვს მაგ მემანქანემ ამ აღმართში აგვიყვანოსო. მართლაც, რამდენიმე საჟენიღა უკლდა ვაზიანამდე მისვლას, რომ მატარებელმა სიარულს უკლო და ბოლოს სულ გაჩერდა. როგორც იქნა, ისევ დაიძრა ადგილიდან და სადგურში მივედით. აქაც საკმაო დრო მოგვიხდა ლოდინი. დიდი ვაი-ვაგლახით მივაღწიეთ საგარეჯოში. აქ გადაჭრით გვითხრა ერთმა ნაცნობმა მოხელემ, რომ მემანქანის უნარზეა საქმე დამოკიდებული, თორემ გუშინ მატარებელმა თავის დროზე აირიაო. გვარიც დაასახელა მემანქანის (მგონი ლეჟავა). თელავიდან დაბრუნებული მატარებელი აქ შეხვდა ჩვენს მატარებელს. გავედით სადგურიდან. გავიარეთ რამოდენიმე მატარებელი, დადგა და უკან იწყო ისევ დახევა. დავბრუნდით სადგურზე. გამოირკვა, რომ ისარი არ გაესწორებიათ და ჩიხში გადაგვყრიდენ, რომ დღე არ ყოფილიყო და მემანქანეს დროზე არ შეენიშნა.

ერთ მახლობელ პლატფორმაზე ჩ მოვედით. მეზობლათ მსხდომი მგზავრები შეგვნატროდენ: ნეტავი თქვენ, მიხვდით, ჩვენ ვიკითხოთ, როდის ვეღირსებით დანიშნულებისამებრ მისვლასო. შემებრალა თანამგზავრები. მეორე დღეს თფილისიდან მატარებელმა დანიშნულ დროზე სულ მცირე დაგვიანებით ამოიარა. ამან კიდევ დაადასტურა წინა დღით ნათქვამი სიტყვები მემანქანის უნარის შესახებ.

ჩვენმა მემანქანემ თავისი მატარებლით თელავიდანაც არ უღალატა ჩვეულებას და ძალზე დაიგვიანა. ამასობაში საგარეჯოდან საბარგო მატარებელმა გამოიარა. ერთი ჩვენი თანამგზავრთაგანი ბადიაურში გაყვა მას. როგორც იქნა, მოვიდა მატარებელი თელავიდან. კიბეებზე მდგარი კონდუქტორები გვეუბნებოდენ: თავს ნუ იწუხებთ, ადგილი არ არის, ვაგონში არ შეგიშვებთო. ჩვენ ბედზე, ჩვენს ამხანაგს ბადიაურში ტყუილა ყოფნით ესარგებლათ და ბილეთები აეღოთ. შეგვიშვეს ვაგონში, ვიშოვეთ ერთი დასაჯდომი. ფეხზე დგომა თავისუფლათ შეიძლებოდა.

თუმცა მადლიერი ვიყავით ბედის, მაგრამ გულმა მაინც არ მოგვითმინა და კონდუქტორს შევეკითხეთ: კარგი რომ ჩვენ ვეჟვაცები ვართ და ახლოსაც ვართ პლატფორმიდან, თუ არ შეგვიშვებდით ვაგონში, უკან დავბრუნდებოდით. მაგრამ რა უნდა ქნას მგზავრმა, რომელიც

ცოლშვილით და ბარგით შორი
სულ და ცხენი და ურემი უვ
მოიღებთ და ვაგონის კარს არ გა
ან რატომ განცხადების საშუა
არ აცნობებთ მგზავრებს, რომ
ამ პლატფორმიდან მგზავრებს არ
ლებთ მატარებელში და მახლობელ
გურზე წადითქო? მაშინ პასუხის
თავიდან მოგეხსნებათ და მგზავრ
ეცოდინებათ, თუ როგორ მოიქცნ
— ეს ჩვენი საქმე არ არისო, ჩ
პარაკა კონდუქტორმა და გზას გა
საგარეჯოში ჩვენს მატარებელ
მატებით კიდევ მიუბეს ახალი
ნები. ასე რომ, საგარეჯოს მგზა
ამ ვაგონებში მოთავსებულიყვნენ და
თან ალარავინ შემოსულა.
გავედით საგარეჯოდან. ფანჯ
იორის ხეობას გავყურებდი და
სიამოვნებით შევსებოდა, როდეს
ვით გადახნულ მიწებს ვხვდებოდ
უცბათ უცნაური ქრიალით
მაც ნახნავში ხეთქა მოხდა.
დროს ვაგონის სახურავზე მოთავ
ლი მგზავრების ხარ ხარი შემო
ნახნავში გორავდა ვაგონის „ვენტ
ტორის“ სახურავი.
გული ბოღმით ამევსო. ჩვენს ვ
ფილებაში კონდუქტორი არსად ს
რამოდენიმე წუთის შემდეგ კიდევ
მეორდა იგივე სურათი. ორი
ტილიატორის“ ქუდი ერთი
მანეთზე გადაისროლეს „სახუ
გმირებმა“ მინდორში, მაღლა ისევ
მა ხმამაღალი სიცილ-ხარხარი.
„სახურავის გმირთაგანი“ თავმ
„ვენტილიატორის“ მილზე ჩამოჯდ
ვიდან.
მოთმინებიდან გამოვედი. დავ
ფანჯარა და გავუშურე კონდუქ
მოსაძებნათ. გზა და გზა შევამჩნიე
სახურავები ჩვენი ვაგონის „ვენტ
ტორებისთვის“ მოეხსნათ ყველა.
დუქტორი ვაგონის დერეფანში
ვსთხოვე წამომყოლოდა თან.
თავ მოგლეჯილი „ვენტილიატორ
თან აღელვებული ხმით მოვსთხოვ
ლო ზომები ამ ვაჟბატონების ასა
ვად. მან ფიცხლავ მომახალა: ჩვენ
მე თვითონ ვიცით, თქვენი სწავლ
გვესაჭიროებაო. ზურგი შემომაქც
უკანვე წავიდა.
რამდენიმე წუთის შემდეგ კონდუ
რი ისევ შემოვიდა ვაგონში და მ
თქვენი ლაპარაკის კილო შეურაც
ფელი იყო ჩემთვისო. მე მოვახსენე
მისი შეურაცხყოფა სრულებით
არ მომივლიაო. ჩემი უცნაური კილ
დეგი იყო იმ სამართლიანი აღშ
ბის, რომელიც სახურავზე მსხდომი მ
რების უმსგავსო საქციელმა გამო
მეთქი. ოღონდ დაუსჯელად ნუ
ვებთ დამნაშავეთ და მე მზათ
ათასჯერ მოვიხადო შენთან ბო
თუ ჩემი კილოთი უსიამოვნება მ
ნე მეთქი.
ამაზე მან პასუხათ მომიგო: საქ
გვიძლია სახურავზე ხოხვა, იქ რაც
ბა, ის ჩვენ არ შეგვეხება და რომ
გვეხებოდეს ძალა არა გვაქვს მათ
ლაგმავათო.
მე მივუგე: თუ ძალა არა გყავთ,
ლობელი სადგურიდან დეპეშა გაგ
ნავთლუღში და იქ დაგახვედრებენ
ქი. ჩვენი ლაპარაკის მოწმე იყვ
გონში მყოფი ყველა მგზავრები,
მელნიც ძალზე აღშფოთებული იყვ
ველური ადამიანების მოქმედებით.
კონდუქტორი დაგვშორდა. და
ნებული ვიყავით, რომ რაიმე ზ
მიიღებდა. ერთმა მგზავრმა კი სპ
კურათ დასძინა: ბატონო, მაგა
ჩივიან „ვენტილიატორებს“ და ვ
ბის სახურავების გაფუჭებას, რო
სახურავების მგზავრები მაგათთვის
მეტი შემოსავლის წყაროო.
გაფაციცებით ვადევნებდით თ
ყურს, მაგრამ „სახურავების გმირ
თვის“ ხელი არავის უხლია. ნავთლ
არხეინათ ჩამოიშალენ სახურავებიდ
თავ თავის გზას ეწიენ.
ნავთლუღში ჩვეულებრივათ
ხანს გააჩერეს მატარებელი და
ვეღირსეთ თფ ლისში ღამის 1
ათზე მისვლას.
თუ ვინმე ყურადღებს ზემოთ ნ
და მოისურვებს საქმის ვითარებ
მოძიებას, მზათა ვარ სიამოვნებით
ვასახელო როგორც ნომერი ვაგ
აგრეთვე კონდუქტორიც და ის საშ
პირები, რომლებიც ჩემს ნათქვამ
ადასტურებენ. აგ—

სასურსათო საკითხ

დაუსრულებლივ იწერება პრეს
კერძო ლაპარაკს ხომ ბოლო აღარ
იმის შესახებ, რომ სურსათის სა
მეტად საშიშ სახეს ღებულობს. ყვე
მეტად შიშით ელის მომავალს ქალ
ში მცხოვრები მუშათა კლასი და
ლი მოხელენი, რომელთა ეხლან
ბიუჯეტი დიდის ვაის-ვაგლახით
ყოფილებს მათ ოჯახურ მინიმ
მოთხოვნილებას. ახლოვდება ზამ

და მასთან ერთად ჰქრება მუშათა კლასს შიმშილი, სიცხე და სიცივე!

სოფლად მცხოვრებლებს მაინც უფრო კარგ პირობებშიან და იქნებიან იმ შემთხვევაში ადგილობრივი ორგანიზაციებმა და დაუყოვნებლივ მიიღებენ ფერ ზომებს, რათა სოფლიდან პური სხვა სანოვაგე არ იქნეს გამოტანილი, სანამ ადგილობრივი მცხოვრები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი.

სოფლად ეხლავე მოხდეს სტატისტიკური ცნობების შეკრება იმისა, თუ რამდენ მოსავლისა და რამდენი სჭირდება სოფელს, რის შემდეგ სოფლის მცხოვრებნი უნდა იქნენ დაკმაყოფილებულნი, დანარჩენი კი ამის შემდეგ სოფელმა უნდა გადასცეს ქებს, ფართლეულობის მიღებით ან საჭირო სოფლისთვის საქონლის ლის საშუალებით. უმეტესი ნაწილი სოფლის მცხოვრებისა ღარიბია; მით უმეტეს, შუა ქართლის სოფლებში, ძნელად თუ 100 კომლზედ 15 აღმოჩნდება საკმარისი პური, დანარჩენ კომლი ერთ-ორი თვის უკან იძულებულია იძებოს სასყიდელი პური, ეს კი იწვევს ჩავარდება გაჭირვებაში და შემდეგათ შეიძლება ამას მოჰყვეს ძალიან ძვნენ ექსცესები ნორჩ რესპუბლიკისათვის.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეხლავე ნარჩ-ვაჭრებს მოვსპობთ სრულად, და იქ მოგროვილი პური უზრუნველყოფს უმეტეს ნაწილს არა მცხოვრებს სოფლისას და მხოლოდ დანარჩენს თვით სოფელი, ორგანიზებულად, და არა სპეკულიანტების მეშვეობით, გადასცემს მეტ პურს ქალაქს იქნება დიდი საქმე, რადგან თვით სოფელი დამშვიდდება და ქალაქსაც შეღავათს მისცემს.

ჯერ კიდევ გვიან არ არის, საქმეს ხელი უნდა მოჰკიდოს სოფლის ორგანიზაციებმა, უნდა რჩევნონ კოოპერატივებიც და მთელმა ყოველნაირი დაუყოვნებლივ დრებაც უნდა აღმოჩინოს. თორემ მალი გაქცენთნილია უბედურებით!

რაც შეეხება ქებს, მაგალითად, თფილისს, აქ უფრო ძნელია საქმის მოგვარება და სპეკულიაციის მოსპობა. საკმარისი არ არის სპეკულიაციასთან ბრძოლის საშუალების ქაღალდზე აღნიშვნა, ეს ზომები ცხოვრებაში უნდა ტარდებოდნენ სიმკაცით, უაპელიაციოთ და სუფთა ხელით. ეხლა მთელი ქალაქი მოცდებულია ავაზაკი კომისიონერებით, რომელნიც პელი ღვიძლი შვილნი არიან სპეკულიისა.

თფილისი სავსეა ყოველ ნაირ სანოვაგით, რომელიც ხვება ქალაქში და ახლო-მახლო მიდამოში.

ამ გვარ კომისიონერებს ბლომად შეხვდებით საზოგადოებრივ დაწესებულების ახლო-მახლო, სადაც ისინი „მოქმედობენ“. დღეს ბაზარი სავსეა ყოველის ფერით; ვიცით, რომ ქალაქში არაფერი არ შემოდის, მაშასადამე ეს ყოველივე დღემდის მიტანილი იყო თვით ქალაქში და კიდევ ბევრი რამ არის.

მიეცით ფუთ შაქარი 600—700 მან., ფქვილში 200—350 მან., თუ იმავე წუთს ეხრენებულად არ გართვენ რაღაცა გსურთ, დაგზავნეთ ამბობენ, რომ სპეკულიანტები მიმართავს ერთ გვარ საშუალებასაც: რომელიმე დაწესებულებაში შეაქვს საწინდარი იმის დაპირებით, რომ აუცილებრივ მოუტანენ რაც სურთ, ამ საშუალებით იღებენ ებართავს, სანოვაგეს მოაქვთ და გაჰქონდ კიდეც და ჰყიდენ კერძოთ, მხოლოდ საწინდრის მისაცემად აღარ ცხადდებიან. ან რათ უნდა „ზალოგი“, როდესაც ათჯერ მეტს ქურთ გაყიდვის დროს იგებენ.

აუცილებელი საჭიროა ადმინისტრაციამ მიაქციოს დიდი ყურადღება ქალაქში შემოსასვლელ გზებს, ბაზარს და აგრეთვე მოედნის და კვეების გმირებს, სადაც ეწყობა დიდი კომბინაციები.

ყოველივე რაზმი და ადმინისტრაცია ფუჭია, თუ თვით მუშათა კლასი და შეგნებული მოქალაქე არ ჩაებმება ამ საქმეში და არ იკისრებს მიმალულ საქონლის აღმოჩენას.

ვშიშობ, მომავალში დიდი საფრთხეა და ერთგვარი უბედურება ჩვენს დემოკრატიას თავს დაატყდება, თუ ეხლავე არ შევუდექით საქმეს.

გიორგი მტკვრისპირელი.

რკინის გზის მუშამოსამსახურეთა ყრილობა

24 სექტემბერი.

სასურსათო საკითხის გარშემო ატეხილი კამათი შესწყდა. თავმჯდომარე უკანასკნელ სიტყვას აძლევს მომხსენებელ ვაშაძეს, რომელიც ყველა საყვედურებს სასურსათო კომისიის შესახებ თვლის საქმის არ ცოდნის ნაყოფათ. კრიტიკას საჭიროა იყოს გარკვეული დასაზღვრული საზომით. თუ თქვენ ჩვენ სასურსათო კომისიის მოღვაწეობას შეადარებდით სხვა ორგანიზაციებს მაშინ უფუძვლო კრიტიკას ადგილი არ ექნებოდა. თქვენ მსჯელობთ არა მეცნიერულათ, არამედ რასაც გიკარნახებთ მშიერი კუჭი. ყრილობა იღებს კორინტელის რეზოლიუციას: „საქართველოს სახაზინო გზების პირველი ყრილობამ, მოისმინა სასურსათო და სარევიზიო კომისიის მოხსენება და მიიღო რა აგრეთვე მხედველობაში სასურსათო კომისიის მუშაობის სიმძიმე რევოლუციონურ ხანაში, მაგრამ ამავე დროს გაუწია რა ანგარიში ზოგიერთ დაუდევრობას, მეურნეობის არა საჭიროთ შესრულებას, სანოვაგის ცუდ ანგარიშს და რაიონულ კომიტეტების არა შესაფერ კანტროლს, რამაც მიიყვანა კავშირი დიდ ზარალამდე, გამოსთქვა თავისი მწუხარება გზათა მთავარ კომიტეტის სასურსათო კომისიის მიერ საქმის არა საკმაოთ გაძღოლის გამო, შემდეგში კი ყრილობა გამოსთქვამს იმედს, რომ მომ ვალი სასურსათო კომიტ. ანგარიშს გაუწევს საერთო არევ დარევს და აგრეთვე კომერციულ საქმეში გამოუცდელობის მიერ გამოწვეულ დეფიციტებს, რომლებიც აღნიშნული იყო ამ საკითხის გარჩევის დროს, და წაიყვანს სასურსათო საქმეს საქართველოს რესპუბლიკის სახაზინო გზებზე უფრო კარგათ და კავშირის სასარგებლოთ“. ადგილობრივ კომიტეტების მიერ ფულის გაფლანგვის შესახებ ყრილობამ დაადგინა: „დაინიშნოს სასტიკი გამოძიება ბოროტ მოქმედების აღმოსაჩენათ და მათ პასუხისგებაში მისაცემათ, აგრეთვე მათი გვარები გამოქვეყნებული იქნას პრესაში“.

სასურსათო საქმის მომავალ სტრუქტურაზე მოხსენებას აკეთებს ათაბეგი. სასურსათო ორგანიზაციის სათავეში სდგას სასურსათო კომიტეტი, რომელიც 7 კაცისგან შესდგება. ეს კომიტეტი ითვლება უმაღლეს ორგანოთ. ეს კომიტეტი იკრიბება ორ კვირაში ერთხელ. კომიტეტში შედიან აგრეთვე ლიანდაგის წარმომადგენელნიც. აღმასრულებელ მომქმედ აპარატათ იქნება საგანმკარგულებელო ბიურო, რომელიც სამი კაცისგან შესდგება. სასურსათო კომისიის წევრები იღებენ ჯამაგირს ყოველ სხდომაზე 30 მ. ლიანდაგის წარმომადგენელნი გარდა ამისა იღებენ კიდევ დღიურს 20 მანეთს დღეში. მთავარი რწმუნებული და რწმუნებულები იღებენ ჯამაგირს ყრილობის გადაწყვეტილების მიხედვით; თუ გვინდა, რომ დავაინტერესოთ მოსამსახურენი საქმის კარგათ წაყვანაში, საჭიროა 10 პროცენტი მოგებისა განაწილდეს მოსამსახურეთა შორის მათი შრომის მიხედვით.

იმნაიშვილი ეთანხმება რა სავსებით ათაბეგს, ერთი დამატება შეაქვს მის პროექტში. რაიონულ მმართველობას ჰქონდეს კონტროლისა და არა საიმედო პირების გადაყენების უფლება. ყრილობამ მიიღო ათაბეგის მიერ წარდგენილი პროექტი იმნაიშვილის შესწორებით.

თავდიშვილი მოახსენებს კრებას, რომ მთავრობა უკანასკნელ ჯამაგირების მომატებამდე გვიწევდა დახმარებას დღეში 25 ათას მანეთით, ეხლა კი მთავრობამ უარი გვითხრა სუბსიდიაზე. თუ ჩვენ მოსამსახურეებს გირვანქა 50 კაპ. მივეცით პური, მაშინ დღიური დეფიციტი 2500 მან. იქნებაო. გზ. მინ. ამხანაგი მალანია ამბობს რომ თუ მთავრობა არ აძლევს მოსამსახურეებს პურს, ეს ახსნება იმით, რომ ბეღელში მას პური არ მოეძებნება და არ შეეძლება მისი არსაიდან აღება. სუბსიდიის გადახდა მთავრობას არ შეუძლიან, რადგანაც რკინის გზელები იღებენ ჯამაგირს სხვებზე მეტს. რკინის გზის მუშები იღებენ 465 მან. და თუ ამას დაუმატებთ იმ შეღავათებს, რომლებითაც სარგებლობენ რკინის გზელები, მაშინ მივიღებთ, რომ რკინისგზელები გაცილებით უკეთეს პირობებში არიან, ვიდრე სხვა დარგის მუშები. შეუძლებელია, რომ სახელმწიფოს მოსამსახურეთა ერთი ჯგუფი იყოს პრივილეგიურ მდგომარეობაში და სარგებლობდეს სახელმწიფოს ყოველივე სიკეთით, მაშინ, როცა სხვები ცუდ პირობებში არიან და გაჭირვებას განიცდიან.

ყრილობა იღებს ამხ. ფერაძის რეზოლიუციას. „განიხილა რა მთავრობის ცნობა პურზე სუბსიდიის შეწყვეტის შესახებ და მიიღო რა მხედველობაში ეკონომიური მდგომარეობა როგორც მხრის, აგრეთვე რკინის გზელების, საქართველოს რესპუბლიკის გზების მოსამსახურეთა ყრილობა ადგენს იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, რომ 23 სექტემბრამდე მოსამსახურეებს მიეცეთ პურზე სუბსიდია ძველებურათ, ხოლო შემდეგში მიეცეთ ის მთავრობისაგან პურის თვით ღირებულობის ნახევარი რიცხვის მიხედვით, ხოლო მეორე ნახევარი თვით ღირებულებისა გამოერთოს მომხმარებელს, რკინის გზელებს, სანამ პური გაიაფდებოდეს, ამასთანავე გაუმჯობესდეს პურის ხარისხი“.

ლეჩხუმში

III

თითქმის ყველა საზოგადოებებმა ჩააბარეს მთავრობის წარმომადგენლებს იარაღი. ეს მთავარი მიზეზი იყო ანარქიის და მწარე ამბებისა და ამ მიზეზის თავიდან აცილება საკმაოთ უზრუნველყოფს მომავლისთვის მშვიდობიანობას. ლეჩხუმის მწარე ამბები ლეჩხუმშივე ჩაქვდა, იგი ვერც რაჭაში გადავიდა და ვერც სვანეთში. სვანეთისაკენ ამ უკუმართობით და უბედურებით სავსე მოძრაობას გზა არ მისცა ლაშხეთის საზოგადოებამ. ლაშხეთში ცხოვრობენ წინეთ ბათუმში და შემდეგ კიდევ სხვადასხვა ქალაქებში ნამყოფი მოწინავე მუშები. ესენი ჩაუდგნენ საზოგადოებას სათავეში და მთავრობას არამც თუ წინააღმდეგობა არ დაუწყეს, არამედ ლეჩხუმს რამოდენიმეჯერ მოსთხოვეს მთავრობის ცნობა და მორჩილება. ამ საზოგადოებას 1905 წლის წითელი დროშა პატივით აქვს დაცული და ამ უკანასკნელათ, საერთო კრებებზე, როცა სხვა საზოგადოებების ახალ დროშებში ამ ჭალარა დროშის ნაჭრებს ქარი აფრიალებდა, ლაშხელები ამით ამაყობდენ.

რაჭაც ლეჩხუმის მოსაზღვრე ხვანჭკარის და პატარა ონის საზოგადოებებმა დაიფარეს ანარქიისაგან. ამ საზოგადოებებშიაც შედარებით მეტი მოიპოებოდენ მუშები, ამათ გავლენა მოახდინეს მოწინავე ჯარისკაცებზე, შეადგინეს პატარა რაზმები და მით წინ გადაუდგენ თითო-ოროლა თავზე ხელაღებულს. საკმარისი იყო რომელიმე ამ საზოგადოებას ლეჩხუმის გზა აერჩია, და მთელი რაჭაც მას აყოლოდა. როგორც ლაშხეთის, ისე ხვანჭკარის და პატარა ონის საზოგადოებებმაც დიდათ შეუწყვეს ხელი ლეჩხუმის ანარქიის ჩაქრობას. აქ, სხვათაშორის, დიდი ღვაწლი მიუძღვის ადგილობრივ გლეხს ვასილ ტყეშელაშვილს.

ლეჩხუმის ანარქიის დათავებას დიდათ მოეხმარა აგრეთვე გერმანიაში ტყვეთ ნამყოფი, ლეჩხუმელი პოლკოვნიკი ქარსელაძე, რომელიც მე ზევით ვახსენე. ეს ქარსელაძე ერთი თვის წინეთ დაბრუნდა ტყვეობიდან, ლეჩხუმის ამბებზე მას რაღაც განყენებული, თავისებური შეხედულებები ქონდა. თვით ლეჩხუმში შესასვლელათ ისეთი გზა და გეგმა ქონდა, რომ ყველას მისი პირადი სიცოცხლისათვის საშიშრათ მიაჩნდა. ბოლოს იგი რაჭიდან წავიდა და ჩქარა ლეჩხუმელების „შტაბსაც“ მიადგა. სწორედ ამ კაცის თავისებურობას და სიგულადეს უნდა მიეწეროს ის, რომ არამც თუ იგი ცოცხალი გადარჩა, არამედ სარგებლობაც მოიტანა. იმ დროს, როცა იგი ლეჩხუმში შევიდა. მეამბოხენი ერთი უბრალო სიტყვისათვის შუბლში ტყვიას აჭედავდენ ხოლმე.

ამ სახით ანარქია დათავდა, მაგრამ ბევრი რამ არის აწეწილ-დაწეწილი და ბევრი რამის გამოსწორება არის საჭირო. ადგილობრივი სოფლის კომისრები, თითქმის ყველგან, ყოფილი მეამბოხენი არიან და ამაში ერთგვარი მთავრობის მოწინააღმდეგეთა ორგანიზაცია სჩანს. ეს კიდევ იმდენი საშიში არ არის, რადგან ამ კომისრებს ჯამაგირს მთავრობა აძლევს, ესენი ეხლა აღარ მოისურვებენ მთავრობის გაჯავრებას და არა ერთსა და ორს თავის ყოფილ ამხანაგებს წაჰკრავენ კისერში. უფრო სამწუხაროა მეორე გარემოება. მთავრობის ჯარისათვის ზოგჯერ შეუძლებელი გახდა ლეჩხუმის კლდე ღრეებში სურსათის გატანა, და ამიტომ სურსათს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან იღებს, რა თქმა უნდა ფასით. ვაი თუ ამ ფასის მიცემაში რაიმე დაბრკოლებას აქვს ადგილი. ეს უნდა იქნეს გამორკვეული და უდანაშაულო ხალხი უთუოთ ნივთიერი ზარალის გარეშე უნდა დარჩეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხს საბოლოოთ შერჩება მთავრობის ჯარის სიძულვილი, რაც უნდა თავიდან ავიცილოთ.

სამაზრო ორგანიზაციების და მთავრობის დაწესებულებების დაშლის დროს ლეჩხუმის ნაძირალებმა ბევრი ცუდი ხმები გაავრცელეს. ზოგს ფულის გატაცება დააბრალეს და ზოგსაც კიდევ ვინ იცის რა. ყველა ის პირები, ვინც იმ დროს ლეჩხუმის საზოგადო დაწესებულებებში მუშაობდენ, უეჭველათ უნდა თავის ადგილს მიბრძანდენ, დაწვრილებით ანგარიშები შეადგინონ და გამოაქვეყნონ, რომ ყველას საშუალება ქონდეს მისი გაგების. ვინც ამას არ მოისურვებს ნებით, უნდა შეასრულებინონ ძალით და რაც შეიძლება ჩქარა.

ყველა სხვაზე უფრო საჩქარო ლეჩხუმის თავად-აზნაურობის ხულიგანური ნაწილის წესიერ კალაპოტში ჩაყენება. მეფის ტახტის დანგრევის შემდეგ ეს ხალხი ყოველივე არეულობას სიხარულით ეგებება და თავის ბატონობის დაბრუნებას მოელის, პირველათ ესენი ასევე სიხარულით შეხვდენ ლეჩხუმის მწარე ამბებსაც და ლევან დადეშქელიანის სიკვდილის გამო დიდი დღესასწაული გადაიხადეს. ამ დროს ერთი მხრივ ცაგერში დაიწყო სროლა და ქეიფი და მეორე მხრივ სვანეთში გარდაფხაძეების ოჯახებში. ასეთი სიხარულით შეხვდრა მათი თავაშვებულობისა მეამბოხეებს მოეწონათ და პირველათ ისინი და თავად აზნაურობის ხულიგანური ნაწილი ხელშეწყობილათ ცხოვრობდენ. ბოლოს ეს ერთობა დაირღვა და ზოგმა ალალ-მართალმა, მაგრამ ზოგმა კი უეჭველად ხულიგანებმა ცაგერის ციხეში ამოყვეს თავი. დაპატიმრებში იყვენ ცნობილი თაღლითი და ორპირი სვანის—ამბროსი პირველის ძმა-ბიჭები, ამის გამო პირველმა მოატყუილა მეამბოხენი; ტუსაღები გააპარა და თითონაც გაიპარა. ამ ბოლოს მეამბოხეებმა კონტრიბუციას მიყვეს ხელი და არა ერთსა და ორს მოაფხანეს თავი. აქ კი ჩამოყარეს ყურები ამ ვაჟბატონებმა და მთავრობის ჯარს ისე ჩამოზხმარი, ჩამოგლეჯილი, ქანც მილეული და თვალცრემლიანი დახვდენ, როგორც თუ ვისმეს მოაგონდება ერთ სურათში დახატული გაკოტრებული ვაჭარი და ქვეშ აწერია: „торговал в кредит“. რაკი ასეთ მდგომარეობაში ამ მუდამ უაზრო და თაღლითმა ხალხმა მთავრობას ჯარის უფროსებს ბრჭყვიალა ჩინები დაუნახა, სერიოზულათ იფიქრეს მართლა ბატონყმობას აყენებენო, და როცა შეშინებული გლეხი ვისმეს დაბლათ თავს დაუკრავს, ეს უკანასკნელი მადლობას მაგიერ მიაძახებს: „მე გახლავარ ბიჭი, ხომ იკადრე კიდევ თავის დახრაო“. თავად აზნაურებში ჭკვიანი და წინდახედული ხალხიც ურევია და ამიტომ მე ყველაზე არ ვლაპარაკობ. მე სახეში მყავს ხულიგანური ნაწილი, რომლის რიცხვიც ლეჩხუმში საგრძნობია და რომელიც უმეტესათ ცაგერის გარშემო იყრის თავს. ეხლა ეს ხალხი ისე თავაწეულია, ისე გველსავით დაძრომიან, რომ ადვილი შესაძლებელია მათი მეოხებით რაიმე ცუდიც მოხდეს, მაგრამ ვაი ამათი ბრალი მაშინ. რადგან მაზრიდან მოწინავე პირები გაქცეული იყვნენ და ორგანიზაციებიც დაშლილი, ამიტომ ამ ნაძირალებმა ისარგებლეს შემთხვევით, ლეჩხუმში შესულ უცხო ჯარის უფროსებს თავი მთავრობის მომხრეთ მოაჩვენეს და ცრუ ცნობების გავრცელებით გაიჩინეს საქრთამო და საძარცვავი საქმეები. დღეს ციხეში სხედან ლეჩხუმელი გლეხები, ზოგი მათგანი გზა დაბნეული და თავისიანების სისხლში ხელებ გასვრილი და აი, ამას დაჰხარიან ლეჩხუმელი ხულიგანები ისე, როგორც ყორანი დაჰხარის და დაფარფატებს მძორს. ნაადრევია ნაძირალებო თქვენი სიხარული... ბევრი ლეჩხუმის უბედურების მონაწილე ეხლა გრძნობს თავის შეცდომას, ბევრიც აწი იგრძნობს და ყველა ესენი ისევ დაუბრუნდებიან გლეხების წრეს და ისევ აიღებენ წითელ დროშას. ეს ხალხი მარჯვედ იბრძოდა, მაგრამ იბრძოდა გზადაბნეულად თავისიანების წინააღმდეგ და ამისათვის ციხეში მოხვდა. ვაი თქვენი ბრალი მაშინ, როცა ეს ხალხი ციხიდან გამოვა და ჭკვიანურ ბრძოლას დაიწყებს.

იმდენი ჯარი, რამდენიც ეხლა ლეჩხუმში სდგას, იქ საჭირო აღარ არის. იქ საკმარისია ეხლა სულ უბრალო ძალა და ისიც ადგილობრივი მილიციის შედგენამდე. რაც ჯარი ლეჩხუმში დარჩება, იგი უეჭველათ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სურსათით და მისგან ამ მხრივ ადგილობრივ ხალხს არაფერი უნდა ეკითხებოდეს. ასეთ პირობებში ლეჩხუმელი ხალხი უეჭველათ მხარს დაუჭერს და მოეხმარება მთავრობის ჯარს. ვიმეორებ: სადაც ხალხმა სურსათი დახარჯა, იქ ყოველივე გამოკვლეული და გასწორებული უნდა იქნეს ფასის მხრივ და დახარჯული სურსათის მაგიერ უნდა გასაყიდათ შეიტანონ სამაგიერო. ასეთი დამოკიდებულება ხალხთან გაცილებით უფრო მეტს გააკეთებს ამის შემდეგ, ვიდრე რომელიმე ძლიერი რაზმი.

დაპატიმრებული გლეხების საქმე ჩქარა უნდა დათავდეს. იმ გაიძვერების წყალობით, რომლებზედაც მე ზევით ვილაპარაკე ზოგიერთი არევ-დარევა უეჭველათ არის და რაც ჩქარა გამოირკვევა ესენი, მით უფრო კარგია. ზოგიერთ საზოგადოებებში უკვე აღადგინეს სხვადასხვა ორგანიზაციები. სასურველია ადგილი არ ექნეს გაღიზიანებას და შურისძიებას. სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს მე ურჩევდი ყოვლის უწინარეს გადასინჯოს მისი ხელმძღვანელების და მოწინავე პირების საქციელი ლეჩხუმის მწარე ამბების დროს. ასეთმა პირებმა ეხლა უნდა პასუხი აგონ თავის მოქმედებაში.

რ. ყიფიანი.

P. S. პირველათ აზრათ არ ჰქონია, მაგრამ მაინც გუბერნიის კომისარი ლეჩხუმიდან რაჭაში გადავიდა. წესში ჩვენ შემთხვევით დაგვიხვდენ ამბროლაურის რაიონის კომისარი ვ. ტყეშელაშვილი და რამოდენიმე რაჭაში მომუშავე პირები. გუბერნიის კომისარმა ისინი ონში მიიწვია საერთო მოლაპარაკებაზე დასასწრებლათ. მეორე დღეს ონში იქაურ ადმინისტრაციასა და მოწინავე პირებთან ერთად გამოირკვა და შემუშავდა რაჭაში ადმინისტრატიული მუშაობის სახე საერთოთ და იარაღის აყრის გეგმა კერძოთ. აქ გუბერნიის კომისარს დახმარება სთხოვეს გერმანელმა ტყვეებმა, რომლებიც მრავლათ თურმე გადმოდიან ოსეთის გზით. კომისარი მათ დაიხმარა და ნასიამოვნები დაბრუნდა რაჭის მშვიდობიანი ცხოვრებით. სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელმა საყვარელძემ გვაჩვენა საწყობი კავკავიდან გადმოტანილ ფქვილის და სიმინდისა. უკვე რამოდენიმე ვაგონი სურსათი ქონდა შეძენილი.

რ. ყ.

ყრილობა

საქ. დემ. რესპ. ჯავშნიან მატარებლების წარმომადგენელთა.

23 სექტემბერს თფილისში შესდგა ჯავშნიან მატარებელ № 1-ს კანც. ვაგ. საქ. დემ. რესპუბლიკის ჯავშნიან მატარებლების წარმომადგენლების ყრილობა; სანამ ყრილობა მოხდებოდა, გამართულ იქნა წინასწარი თათბირი, თათბირზე სიხარული გამოსთქვა ყრილობის ყველა წევრებმა, რომ მათ ეძლევათ საშვალება, დღემდე ცალკ-ცალკე უორგანიზაციოთ მომქმედი ჯავშნიანები—შეკავშირონ და ასე საერთო, შეკავშირებული გზით გამონახონ საერთო მოქმედების ხაზი.

ყრილობას დაესწრენ შემდეგი წარმომადგენლები:

ჯავშნიან მატარებელ № 1-დან დიმიტრი ქლენტი და ბედია ყაჭიეშვილი; № 2-დან კირილე თავაძე და არტემ ჯაში; № მე-3 დან კოსტა ბახტაძე და ნოე თევზაძე, № 4—მათე გოგვაძე და ივანე წულაძე; თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დიმიტრი ქლენტი, მდივნათ—ბ. ყაჭიეშვილი; წინასწარი თათბირის დადგენილების თანახმად ყრილობას ესწრება—კ. ნინიძე და ი. ყაჭიეშვილი. დღის წეს რიგში ისმება შემდეგი კითხვები:

1) მოხსენება წარმომადგენლებისა, 2) მიმდინარე მომენტი, 3) ეკონომიური საკითხები: ა) ჯამაგირი, ბ) ტანისამოსი, გ) საჭმელის შესახებ; 4) ვაგონების შესახებ, 5) ტანისამოსის გატანების შესახებ, 6) ორდენის შესახებ, 7) „კომანდის“ უფლება, 8) „ოტპუსკის“ შესახებ, 9) სამკითხველოს შესახებ, შტაბის არჩევის შესახებ და სხვ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ყველა ჯავშნიან მატარებელზე ქონდა არა ნორმალურ მდგომარეობას ადგილი, რაიც გამოწვეული იყო იმ გარემოებით, რომ ჯავშნოსნებს შორის არ არსებობდა არავითარი კავშირი, მაგრამ ყრილობა გამოსთქვამს იმედს, რომ ყველა ამ ნაკლის გამოსწორებას შეძლებს და ჯავშნიან მატარებლების მოქმედებას დაუქვემდებარებს შეთანხმებულ-შეკავშირებულათ გამომუშავებულ წესებს.

მიმდინარე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. კ. ნინიძე, ის ვრცლად ეხება საერთო მდგომარეობას და არკვევს საერთაშორისო მდგომარეობით გამოწვეულ მოსალოდნელ სურათებს და ამას უკავშირებს ყრილობის მოქმედებას, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„გაეცნო რა ყრილობა ამხ. კ. ნინიძის მოხსენებას, დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაზე, სცნობს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება შედეგია რუსეთის დემოკრატიის დამარცხებისა, მაგრამ, რადგან ეს მოხდა, დემოკრატია მოვალე არის უზრუნველყოს ეს დამოუკიდებლობა და დაიცვას ის გარეშე მტრისაგან. ამ მიზნით, ყრილობა მხარს უჭერს საქ. დემ. მთავრობას და მზათ არის მის დაძახებისთანავე შეებრძოლოს ხალხისა და რევოლიუციის მტრებს, ამასთანავე ყრილობას საჭიროდ მიაჩნია—საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში აღდგენილ იქნას მტკიცე დემოკრატიული წესრიგი, რომ ამ გზით აშორებულ იქნას მოსალოდნელი საფრთხე—გარეშე ძალის ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისა“.

ეკონომიური საკითხები იყოფა სამ ნაწილად: ა) ჯამაგირები, ბ) ტანისამოსი, გ) საჭმელის შესახებ; ყრილობამ დაადგინა: ა) ვინაიდან ჯამაგირების უთანასწორობას შეაქვს დეზორგანიზაცია და უკმაყოფილება ჯავშნ. „კომანდის“ შემადგენლობაში, ამიტომ ყრილობას საჭიროდ მიაჩნია ჯამაგირები ყველასათვის გათანასწორებულ იქნას, გარდა ხელმძღვანელისა. ხელმძღვანელის თანაშემწეს ირჩევს კომიტეტი—ხელმძღვანელთან შეთანხმებით. თანახმად ჯავშნიან მატარებლებზე მყოფ გვარდიელების დადგენილებისა, ყრილობას აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია—დარჩნენ ისინი თავიანთ ადგილებზე იმ ჯამაგირებში, როგორსაც ღებულობენ მათი დარგის მუშები.

ბ) ტანისამოსის შესახებ საყვედურს დღემდე ვერ ვტყვით. შემდეგში კი ჯავშნიან მატარებლის ხელმძღვანელებმა—წარმომადგენლებთან შეთანხმებით მიიღონ ზომები, რამდენათაც შესაძლებელი იქნება—არ მოაკლონ არავის.

გ) საჭმელის შესახებ: მიეცეს დღიურათ თითოეულს 2 გრ. პური დღეში.

6) ორდენების შესახებ [illegible] ვინაიდან ჩვენ ვემსახურებით რევოლიუციის და თავისუფლებას, ამიტომ ჩვენ ყოველ-გვარ ჩინ-ორდენებს და ჯვარ-მედლებს უარვყოფთ და ასათებს ჩვენ არ მივიღებთ.

7) „კამანდის“ უფლების შესახებ ყრილობამ დაადგინა: მიღება-დათხოვა უნდა ხდებოდეს—„კამანდასთან“ შეთანხმებით, *) აგრეთვე „კამანდა“ ირჩევს კაპტენარიუსს და მის საკანტროლო კომისიას.

8) „ოტპუსკით“ უნდა სარგებლობდეს ყველანი—მორიგეობით თანასწორად, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა.

9) ყველა ჯავშნიან მატარებლებზე მოეწყოს სამკითხველო, ამის სისრულეში მოყვანა ევალება ჯავშნ. კომიტეტებს.

10) შტაბის არჩევის შესახებ ყრილობა ადგენს, რომ გარდა უმაღლეს შტაბისა, თავის ხელმძღვანელ შტაბს ირჩევს თვით ჯავშნიან მატარებლის „კომანდის“ შემადგენლობა; მასვე ეძლევა უფლება კანტროლი გაუწიოს მათ მოქმედებას და შემჩნევისთანავე შესაფერი პასუხი მოსთხოვოს.

11) როგორც სამხედრო ხელმძღვანელი საერთოდ, ყოველ გვარი განკარგულება და სამხედრო ნაწილის კანტროლის უფლება ეძლევა—ჯავშნიან მატარებლის ხელმძღვანელს—უფროსს.

ყველა ამ რეზოლიუციების მიღების შემდეგ, ყრილობამ მოიწვია ჯავშნოსნების უფროსი და ხელმძღვანელი შტაბი, განიხილეს ყველა რეზოლიუცია მუხლობრივ და ყოველივე ეს მათ მიიღეს უცვლელად.

ყრილობა უკეთებს თავის რეზოლიუციებს შემდეგ დასკვნას:

„იმსჯელა რა ყველა აღნიშნულ საკითხებზე ყრილობამ,—აუცილებელ საჭიროდ მიაჩნია გატარებულ იქნას ის ცხოვრებაში იმ სახით, რა სახითაც ეს მიიღო ყრილობამ, ამიტომ თავის რეზოლიუციებს ყრილობა უდგენს უმთავრეს შტაბს დასამტკიცებლად“.

დასასრულ სიტყვას ამბობს ი. ყაჭიეშვილი, რომელიც აღნიშნავს ყრილობის ერთ სულოვნურ მოქმედებას და გამოსთქვამს სურვილს, რის შემდეგშიაც ასეთი ერთსულოვნური მოქმედებით, განაგრძოს თავისი გზა იმ მიზნებისაკენ, რასაც შეადგენს მთელი მსოფლიოს ჩაგრულთა იდეალები.

დასასრულ, ხელმძღვანელი გოგვაძე, თავის სიტყვაში მოკლეთ აღნიშნავს ჯავშნოსნების როლს მიმდინარე რევოლიუციაში, აღნიშნავს მათ დაუღალავ მოქმედების შედეგებს და გამოსთქვამს სურვილს, რომ შემდეგშიაც ის ივლის იმ გზით, რომელსაც მიჰყავს კაცობრიობა იმ საოცნებო ქვეყნისკენ, სადაც არ არსებობს მტრობა-შური და ბოროტება, სადაც ყველა ადამიანის უფლებები დაცულია და სრული თანასწორობაა გამეფებული. ამით ყრილობა დაიხურა.

მდივანი ბედია ყაჭიეშვილი.

მუშათა შორის

რკ. გზის მუშათა ცხოვრება. 19 სექტემბერს ნაძალადევის თეატრში შესდგა საზოგადო კრება მთავარ-სახელოსნოს მუშებ-სა ამხ. ძამაშვილის თავმჯდომარეობით. სანამ დღიურ წესრიგის გარჩევას შეუდგებოდენ ამხ. ბახტაძემ განაცხადა, რომ დღეს თქვენი კრების გარდა ამ თეატრში დანიშნულია ამხ. ერენიძის ლექცია და მე საჭიროდ მიმაჩნია ჯერ ლექცია მოვისმინოთ და მერე საკითხები გავარჩიოთ, რაც კრებამ ერთხმათ მიიღო. დროს უქონლობის გამო ამხ. ლექტორმა შემოკლა ფრიად საინტერესო ლექცია „ტომას მორი“. საჭიროა რომ შემდეგისთვის განმეორებულ იქნას. ლექციის დასრულების შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. შენგელაიამ რკ. გზის ფურნის და სასურსათო დუქნის შესახებ: მოხსენება სუსტი იყო, რადგანაც მთელი ანგარიში არა ქონდათ დამზადებული, სხვათა შორის მოხსენებელმა ხაზი გაუსვა მთელ ბოროტ მოქმედებას მოსამსახურეების მხრივ პურის და სურსათის ბარათების შესახებ ზოგიერთი პირები ხმარობენ სხვადასხვა ხრიკებსა, იღებენ ორ-ორ წიგნაკებს და ამ საშუალებით მიაქვთ ორი წილი, მაგალითიც მოიყვანა.

როდესაც საქონელი მოგვაქვს და ვანაწილებთ არა სულზედ, არამედ წიგნებზე, სწორედ იმ პირებს, ვისაც ორი წიგნაკი აქვს, მიაქვს ორჯერ მეტი სხვაზედ. ან კიდევ მოვლენ და განაცხადებენ, რომ დავკარგე პურის ბარათი. მართალია ! ამ ოთხი დღე ვალოდინებთ, მაგრამ ბოლოს იძულებული ვხდებით მივსცეთ ახალი ბარათი და ბოლოს გამოდის, რომ ასეთი პირები ორ ალაგას იღებენ პურს. რაც შეეხება პურის რაციონის გადიდებას და

---

*) ყველა მისაღები პიროვნება უნდა იგზავნებოდეს რაიონული შტაბის რეკომენდაციით.

გაზ. „ერთობის“

მკითხველთა საყურადღებოთ!

გაზეთის გამოსაცემ ხარჯების გადიდების გამო 1 ოქტომბრიდან გაზ. „ერთობა“ ღირება როგორც თფილისში ისე პროვინციაში ერთი თვით 12 მ., ცალკე ნომერი 50 კ

მისი გაუმჯობესობას ბევრი ვეცადეთ და როგორც ხედავთ ამ ბოლო დროს პურიც უკეთესია, ვიდრე წინად იყო და მომატებაც გვინდოდა, მაგრამ ფქვილის უქონლობის გამო ჯერ ვერ ხერხდებაო. ზოგი ერთი პირები გაიძახიან, რომ ჩვენი ფურნე და დუქანი უნდა დაიკეტოსო, რადგანაც არაფერი სარგებლობა არა გვაქვსო. სხვათა შორის მომხსენებელმა სთქვა, რომ ასეთი უკმაყოფილო პირები უფრო ქართველები არიანო, რადგანაც მათ სოფლად ადგილ-მამული აქვთ და იქიდან ჩამოაქვთ ყველაფერიო და ამ მხრივ რუსი ამხანაგ. ძალიან შევიწროებული არიანო. ამხ. სვანიშვილმა, როგორც ფურნის გამგემ, განაცხადა რომ ფურნეში მომუშავე პირებს აუცილებლივ უნდა მოემატოთ ჯამაგირებიო, რადგანაც ისინიც იგითივე მოუშავები არიან როგორც სხებიო.

ერთმა ამხ. განაცხადა, რომ საჭიროა რკ. გზის ფურნის პატრონი თვითონ ჩვენ გავხდეთო და შევიტანოთ გადასახადი და ამ სახით გარდავაქციოთ კოპერატიულ ფურნეთ, რადგანაც ყველგან, შეგნებული მუშები იბრძვიან სპეკულიანტების წინააღმდეგ კოპერატიული დუქნებითაო. რაც შეეხება ჯამაგირების მომატებას ამხ. წინააღმდეგი არ არის მხოლოდ ზედმეტათ მიაჩნია 3 გირ. პურის მიცემა, რადგანაც ისინი პურთან ახლოს იმყოფებიან და ისიც საკმარისათ მიაჩნია. ამხ. პავ. ფირცხალავამ განაცხადა, რომ როდესაც ჩვენ ერთი მეოთხედი გ. მაგიერათ გვაძლევდნენ ერთი ნახევარი გ. პურსა კერძო მეფურნეებმა მაშინათვე დაუკლეს ფასი და როდესაც გადავედით ერთი მეოთხედ გ. აუმატეს. ამხ. ან. ფირცხალავა, როგორც ჩვეულმა ამაში თავისი სიტყვა გამოიყენა სადემაგოგოთ და განაცხადა, რომ მე როგორც საკონტროლო კომისის წევრ ვიყავი ყარაიაზში და იქ ჩვენთვის არაფერიც არ იყო ნაყიდი, რადგანაც მთავრობას დროზედ ყურადღება არ მიუქცევიაო. შესყიდეთ რამდენიმე ვაგონი და გაეგზავნათ პროვინციებში 3 ვაგ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ, რომ პურის რაციონი აუცილებლივ გადიდდეს, თორემ ჩვენი არსებობა შეუძლებელია ამხ. ქურულმა განაცხადა, ის პირები, რომლებიც გაიძახიან ფურნეების ღ დუქნების დაკეტვას პირდაპირ ხალხის მოღალატეები არიან, რადგანაც მათი დაკეტვით ჩვენ ჩავარდებით სპეკულიანტების ხელში ღ ერთი ათად გაგვაძრობენ ტყავსა და მაშინ კი ყოველ დღე უნდა მოთხოვნილებები წაუყენოთ ხოლმე ჩვენს მთავრობას, რადგანაც ამ ჯამაგირით ცხოვრება შეუძლებელი იქნება, ჩვენ შეგვიძლიან ვილაპარაკოთ სისტემაზე, რომ ის იქნას შეცვლილი და დაკეტვაზე კი ჩვენ ყველამ კატეგორიული უარი უნდა განვაცხადოთ, თუ გინდ ერთი მეოთხედი გ. მაგიერ ერთი მერვედი გ. მივიღოთო. ამხ. ლაშქარაშვილმა სთქვა, რომ ფულის მომატებასთან ერთად მათ უნდა გადახდეთ პურის ფასი, რადგანაც დღემდის ფურნის მუშებს პური მუქთად მიქონდათო. კრებამ დაგმო ზოგიერთი პირების მოქმედება ზედმეტი ბარათების მიღებისათვის და გამოსთქვა სურვილი, რომ ის პირნი, ვინც დაკარგავენ ბარათებს თვის ბოლომდინ ვეღარ მიიღებენ ახალსა. და მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: ფურნეების მომუშავეებს მოემატოთ პირველ აგვისტოდან ისე, როგორც რკ. გზის მუშებს და გადახდეთ პურის ფასი. 17 სექტემბერს მე-14 სასურსათო საწყობში დატვირთეს ვაგონი შაქრითა და ფქვილითა, რომელიც ეკუთვნოდა დეპოს სასურსათო მაღაზიას და 4 დღის განმავლობაში ვაგონი ვერ ჩამოაყენეს, რის გამო ამხ. მოუხდათ უფროსებთან საჩივარი ასეთი დაუდევრობისათვის, ეს ვაგონი რომ კერძო ვისიმე ყოფილიყო, ხელად გაუკეთებდა „სმასკასა“ და ორ საათში იქ გაჩნდებოდა ვაგონი, სადაც პატრონი მოისურვებდა, ეტყობათ სადგურის მოსამსახურეებს ჯერაც ვერ გადუგდიათ ძველი ხელობა ზოგიერთ პირებსა და ასეთი დაუდევრობით ჯერ ერთი მოსამსახურეები ღელდებიან, რომ თავის დროზე ვერ ღებულობენ თავიანთ კუთვნილ სანოვაგეს და მეორე ადგილი მოსალოდნელია, რომ ვაგონი გაძარცვონ, რაიც ხშირი მოვლენაა. და ამის გულისთვის საჭიროა მეტი ყურადღება ადმინისტრაციისაგან, რომ თვალ ყური ადევნონ და დამნაშავენი დასჯილი იქნენ.

23 სექტემბერს შემთხვევით მომიხდა შესვლა მთავარ სახელოსნოში უფროსის სანახავად და როდესაც ავედი კანტორაში არც ერთი სული არ იყო. ასე რომ ყველაფერი რომ გამოეტანა, ვერავინ ვერაფერს გაიგებდა, ბოლოს გამოირკვა, რომ მთელ კანტორის მოსამსახურეებს და ყველა „შტატნებს“ სამსახურის დროს გაემართათ მიტინგი მომატებულ ჯამაგირის მიუღებლობის გამო, სწორეთ იმ დროს მივედი მიტინგზე როდესაც ამხ. რუხაძე მოუწოდებდა კრებას, რომ ჩვენ უნდა ულტიმატუმი წაუყენოთ და თუ ხვალ არ მოგვცეს დამატებითი ჯამაგირი იმ შემთხვევაში გავიფიცებითო. მე მგონია ერთხელ და სამუდამოთ უნდა აიკრძალოს მუშაობის დროს მიტინგის მართვა და ლაგამი უნდა ამოედოთ ისეთ პირებს, რომლებიც მარტოკა ულტიმატუმებით უმასპინძლდებიან საზოგადოებას და გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

მეთვალყურე.

პროვინცია

ს. ველისციხე (კახეთი). 21 სექტემბერს მუკუზნის სადგურზე მოჰკლეს ერთი ოფიცერი და გაიტაცეს 18,000 მანეთამდე. როგორც გამოირკვა, ბოროტ მოქმედება ჩაუდენიათ იმავე სადგურის მოსამსახურეთ, რომელთა შორის ორი კაცი უკვე შეიპყრეს. ერთმა მათგანმა, ვანო ნაპირელმა, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, მოასწრო გაქცევა. გურჯაანის რაიონში 22 სექტემბერს საღამოს საშინელი სეტყვა მოვიდა. ზოგიერთი სოფლები საგრძნობლად დაზარალდა. ს. ველისციხეში და აგრეთვე მის მახლობლად მდებარე სოფლებში საშინელი სახადი მძვინვარებს. იხოცებიან უმეტესად ბავშვები. ავადმყოფობის გავრცელებაში ბრალს სდებენ ლტოლვილებს, რომელთა შორისაც ბევრს შეხვდებით ტიფით ავათმყოფს. ამ ორი კვირის წინ სოფელ ველისციხის მცხოვრებთ ძმათა დათოაშვილებს ღამის ცხრა საათზე თავს დაესხნენ ათი შეიარაღებული ბოროტ მოქმედი. წაიღეს 15,000 მანეთამდე ნაღდი ფული; 3000 მანეთის ოქრო-ვერცხლი, სამი ვინტოვკა, სამი ნაგანი და ტანისამოსი. ბოროტ-მოქმედნი წასვლის დროს დაემუქრენ, რომ ღვინის გაყიდვის შემდეგ კვლავ ესტუმრებოდენ.

ადგილობრივმა კოოპერატივმა მიიღო ერთი ვაგონი მარილი. გირვანქა იყიდება 90 კაპეიკად.

ს. ველისციხეში 23 სექტემბერს საღამოს გაიმართა წარმოდგენა სომხურ და ქართულ ენებზე. სომხურად: „პატივი ჰმარ“ (პატივისთვის) შირვანზადესი; ქართულად „დატრიალდა ჯარა“ ყიფიანისა, სომხურ წარმოდგენის დროს ხალხს ეძინა, რადგანაც შინაარსი წარმოდგენისა მხოლოდ არტისტებს ესმოდათ და ზოგიერთ ადგილობრივ სომხურის მცოდნეთ. ქართული წარმოდგენა კარგათ ჩატარდა.

ჯ—ლა.

დ. აბაშა (სამეგრელო). 17 სექტემბერს აქ შესდგა აბაშის და სუჯუნის რაიონის კოოპერატივების წარმომადგენლების ყრილობა. დაესწრო 12 კოოპ. ამხანაგობათა წარმომადგენლები. მთავარი კითხვა იყო რაიონული კავშირის დაარსება. აბაშის რაიონში ამ ჟამად 28 კოოპერ. ამხანაგობა არსებობს. ხალხი ამ დაწესებულებებს შედარებით სიმპატიურათ ეკიდება, მხოლოდ საქმის გამძღოლი არვინ არის. ეს მოვლენა მეტად აფერხებს საქმეს. ზოგი კოოპერატივები იმ ზომამდის მისულან, რომ მათი დალუპვა უმნიშვნელო შემთხვევის საქმეა. ზოგან ერთ 300 ან ნაკლებ კომლიან საზოგადოებაში სამი დამოუკიდებელი, ერთმანეთის მოჯიბრე კოოპერატივია. ერთ სამიქაოს საზოგადოებაში შვიდი დამოუკიდებელი კოოპერატივია. ასეთ მოვლენას უფრო ხშირად კოოპ. საქმეთა მეთაურების ინტრიგანობით ხსნიან. განსაკუთრებით ამაში სახელი გაუთქვამთ ინტელიგენტ პირებს. ყოველი მათგანი ცდილობდა თავი ხალხის ჭირისუფლად მოეჩვენებია, ერთმანეთს ეჯიბრებოდენ, სამარეს უთხრიდენ, სახელს უტეხდენ და გარშემო იკრებდენ მომხრეებს. ზოგან კოოპერატივის გაყოფის ნიადაგზე ერთი სოფელი გადამტერებული ჰყავს მეორეს. კოპერატივების წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავდენ ყრილობაზე ამ მოვლენის მავნებლობას. უდროობის გამო ყრილობამ ამ კითხვის გარჩევა სხვა დროისთვის გადასდო.

რაიონულ კავშირის დაარსება ყრილობამ ერთხმად მიიღო. აბაშაში არსდება ჯერ ჯერობით აბაშა სუჯუნის რაიონის კოოპერატივთა კავშირი. კავშირის გამგეობა მეჰდროთ დაუკავშირდება სენაკის რაიონისას და ამ რიგათ საძირკველი ჩაეყრება სამაზრო კავშირს. კავშირის თანხის შესაქმნელად ყოველი კოოპერატივი კავშირში შეიტანს ერთდროულ გადასახადის სახით 200 მან. პაის რაოდენობაა. 500 მ. ყოველ კოოპერატივს ეძლევა შეისყიდოს იმდენი პაი, რამდენი 100 წევრი ჰყავს, შეიძლება მეტის შესყიდვაც. კავშირის მიერ შეძენილი საქონელი ნაწილდება შეძენილ პაის რაოდენობის მიხედვით. დასასრულ არჩეულ იქნა გამგეობა და სარევიზიო კომისია. გამგეობაში შედის სამი კაცი: ბესარიონ ქვანია, ნოე ბოკუჩავა და არისტარხო ჭანტურაია, ორი კანდიდატით: ვლ. გრ. გაბილაია და მარკოზ რომანაშვილი. სარევიზიო კომისიაშიც სამი კაცია: აკაკი თოფურიძე, ვას. გაბუნია და ის. გვაჯია. კოოპერატივთა რწმუნებულების კრება მოხდება ახლო მომავალში. გამგეობა კრებას წარუდგენს ხარჯთ-აღრიცხვას, წარმომადგენლები ჩამოიტანენ ერთდროულ და საპაიო გადასახადს. კავშირი მუშაობას შეუდგება 10 დღეში.

ფ—ლი.

ს. ლანირ ჭაგანი (ქუთაისის მაზრა). ს. ლანირი ძველი რეჟიმის დროს ერთ საზოგადოებას შეადგენდა და ამ საზოგადოებაში შედიოდენ შემდეგი პატარა სოფლები: ქუტირი, გვაზოური, პატარა ჯიხაიში და თვით ლანირი. ს. ლანირს ჰქონდა ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც იდგა საშუალო ალაგზე. თავისუფლების შემდეგ ხალხმა მოინდომა უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის გახსნა, მაგრამ დავა გამოიწვია იმან, თუ სად დაედგათ ეს მომავალი სასწავლებელი. ს. ქუტირი მოითხოვდა, რომ უმაღლესი სასწავლებელი სასამართლოს ახლო დადგმულიყო, ხოლო სოფ. ლანირი კი ისევ იმ ეზოში, სადაც ორკლასიანი სასწავლებელი არსებობს. ეს უთანხმოება იმ ზომამდე მივიდა, რომ ს. ლანირი და ქუტირი გაიყვნენ. ამგვარად ეს სოფლები, რომელნიც რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში ერთად ცხოვრობდენ, დღეს ცალ ცალკე საზოგადოებას შეადგენენ. ს. ლანირს იქვე ახლობელი სოფელი ჭაგინი (მხოლოდ ნაწილი ჭაგნისა) შეუერთდა და დაარსდა ახალი საზოგადოება ლანირ-ჭაგანის. ამ საზოგადოებამ მაშინვე დაარსა თავისი სამმართველო საშუალო ალაგზე ს. ჭაგანთან. უმაღლესი სასწავლებელი ისევ იქ დარჩა, სადაც ორკლასიანი სასწავლებელი იდგა; დაარსა ფოსტა, გახსნა სამკითხველო, ტელეფონით შეუერთდა სამტრედიას და მომავალში ფიქრობენ სახალხო სახლის აშენებასაც. ხალხი დიდად მონდომებულია კულტურულად ცხოვრებას.

აქ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის სასარგებლოთ ინსპექტორის ხელმძღვანელობით გაიმართა წარმოდგენა წარმოდგენა კარგად მოეწყო და ჩატარდა კიდეც, მაგრამ შემდეგ ატყდა სროლა და დავიდარაბა. ამან ხალხს სიამოვნება ჩაუშხამა. საჭიროა დამნაშავე დაისაჯოს.

ლანირ-ჭაგნელი.

სოფ. ჩიბათი (გურია). აქ გაიმართა წარმოდგენა, რომელიც კარგათ ჩატარდა. მადლობის ღირსია ყველა მონაწილენი. წმინდა შემოსავალი, რომელიც უდრის 229 მ. 35 კ. გადაეცა სამკითხველოს გამგეობას.

ჩოჩხათი (გურია) 15 სექტემბერს აქ მოხდა ხალხის საზოგადო კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) კომისარის არჩევა, 2) ბიბლიოთეკის შესახებ და 3) ჩოჩხათის მოხმარებელ საზოგადოების „დახმარების“ მიმდინარე ანგარიშების განხილვა. კომისრად არჩეულ იქნა პორ. ვ. დ. მგელაძე. მეორე საკითხზე, ბიბლიოთეკის შესახებ, მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: აირჩეს ყველა უბნიდან თითო კაცი. სულ შვიდი, რომელთა მოვალეობა იქნება გამგეობასთან ერთად ენერგიულად უხელმძღვანელონ 21 სექტემბრისთვის გასამართ წარმოდგენას და, მიიღონ ყოველგვარი შემოწირულებანი, რომ გაძლიერდეს სამკითხველო. კოოპერატივის შესახებ აქეთებს მოხსენებას სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. ო, გრძელიძე. მოხსენებიდან გამოირკვა შემდეგი: დღიდან კოოპერატივის არსებობისა ყოფილა საწევრო და საპაიო 3863 მან. და 25 კაპ. სესხები სხვადასხვა პირებიდან პროცენტიანი 19643 მან. და 50 კ. ნისიად მოტანილ საქონლის გასასტუმრებლად 8185 მ. და 30 კ. სესხების პროც. დღემდე სულ 659 მ. და 55 კ. პასივი სულ 32351 მ. და 60 კ. დღეს საქონელი აღმოჩნდა კოოპერატივში 36919 მ. და 15 კ. დაუმზადებელი საწული მახალები 1953 მ. და 30 კ. ფული კასაში 13055 მან. კოოპერატივის შენობის შეძენაზე 1500 მ. შემოვიდა ოკვანის განყოფილებიდან 276 მ. არის კიდევ წვრილმანი საქონელი 206 მ. კავშირში შეტანილი საწევრო 1500 მ. აქტივი სულ უდრის 55409 მ. და 45 კ. იანვრიდან დღემდე საქონელი გადატრიალებულა 160235 მ. და 30 კ. რითაც მოგებულა 11308 მ. დღეს გაუყიდელი საქონელი მოიგებს 3057 მ. და 85 კ. იანვრამდე იყო მოგებული 8692 მ. კოოპერატივის არსებობიდან გაუყიდელ საქონლის მოსაგების მიმატებით ვიდრე დღემდე სულ უდრის 23057 მ. და 85 კ. გაუყიდელ საქონლის მოსაგების გამორიცხვით წმინდა მოსაგები დღეს რჩება კოოპერატივს ნაღდათ 20000 მ.

შემოდის წინადადება: ნიშნად ღრმა პატივისცემისა, კოოპერატივის თანამშრომლებს საქმის რიგიანად წაყვანისათვის მიეცეს ჯილდო, რაც მიღებულ იქნა და გადაიდეს 1000 მ. ამის შემდეგ, რადგანაც გამგეობის წევრებმა კატეგორიული უარი განაცხადეს კოოპერატივში მუშაობაზე, მოხდა ახალი არჩევნები. არჩეულ იქნენ გამგეობის წევრად: ქ. ქ. გუჯაბიძე, ი. ა. კვერენჩხილაძე და ნ. დ. მგელაძე, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ა. ლ—ტი.

წერილი რედ. მიმართ

ამ სამი თვის წინათ „ერთობის“ ერთ ნომერში სოხუმიდან გაგზავნილი ჩემი წერილი იყო, სადაც სამწუხაროდ, ჩემდა დამოუკიდებლათ ერთ შეცდომას ქონდა ადგილი: „ბალშევიკურ ბრბოებს მეთაურობდა ყოფილი პოლიციელი ეშბა და სხვაო“...

იმ ხანებში სოხუმში გაზეთები სისტემატიურათ არ მოდიოდა, გაზეთის ის ნომერი, სადაც ჩემი წერილი იყო მოთავსებული, სრულებით არ მიმიღია, მხოლოდ ორი თვის შემდეგ შემთხვევით გავიგე, რომ ჩემ წერილში აღნიშნულ შეცდომას ჰქონდა ადგილი. რა თქმა უნდა, ეშბას ყველა ნაცნობი ყურადღებას მიაქცევდა წერილის იმ ადგილს, სადაც ეფრემ ეშბა პოლიციელათ იყო ნახსენები და ყველა თავისებურათ ახსნიდა ამ შეცდომას.

მე კი ერთობ დავვიანებულათ ვსცნობდი ამ შეცდომის შესახებ განმარტებას, რომ „ერთობის“ 8 სექტემბ. ნომერში გიორგი ჭავჭავაძის წერილი არ მენახა, სადაც სრულებით სამართლიანათ აღნიშნულია, რომ ეფრემ ეშბა სტუდენტი იდეიური მებრძოლი იყო და არა პოლიციელიო.

ჩემ წერილშიც მე გარკვევით მქონდა აღნიშნული ყოფილი პოლიციელი აბბა და არა ეშბა, როგორც ეს გაზეთში ყოფილიყო შეცდომით. ამ შეცდომის გაგებისთანავე მე ვწუხარება გამოვთქვა ზოგიერთ ამხანაგებთან და სხვათა შორის ბალშევიკების ერთ ხელმძღვანელთანაც.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ეფრემ ეშბას პიროვნების ღაფასებაში მე სავსებით ვერ ვეთანხმები გიორგი ჭავჭავაძეს. ორი წელზე მეტია მე თვალყურს ვადევნებდი (ჯერ ერთ ორგანიზაციაში, შემდეგ კი გარედან) ეშბას მუშაობას და ვამჩნევდი, რომ მას ბევრ ღირსებებთან ერთად ბევრი ნაკლიც ქონდა.

ეშბა ყველაზე ნიჭიერი, მომხიბვლელი, ზნეობრივათ სპეტაკი პიროვნება იყო სოხუმის ოლქში მომქმედ ბალშევიკებს შორის, ამავე დროს მას გვერდში ედგა გაიძვერა—აფერისტი ლაკობა, ყოფილი „გოროდოვოი“ აბბა, რომელზედაც მე ლაპარაკი მქონდა და რომელიც ძარცვა-გლეჯისთვის და მკვლელობისთვის ციხეში ზის დღესაც. ბევრმა ნაცნობებმა არა ერთხელ მიუთითეს ეშბას გამიჯნულიყო ამ გაიძვერა აფერისტებისაგან, მაგრამ ეს მან ვერ შესძლო. რაც დრო მიდიოდა, ეშბა თანდათან იფლებოდა ავანტიურიზმის მორევში და იყო შემთხვევები, იდეიური მებრძოლისთვის არა საკადრის საქციელისთვის მიემართა ხშირათ. მარა ამაზე ლაპარაკი ახლა შორს წაგვიყვანს.

უკანასკნელათ, როცა კოდორთან გვარდიელებმა დაამარცხა ბალშევიკები, —ეშბა და ლაკობა პირველი ავტომობილით გარბოდა სოხუმიდან (რა თქმა უნდა, კონტრიბუციის სახით ანდლები ათასებით), ჯერ კიდევ მაშინ, როცა მათ მიერ გამოწვეული სოფლელები ბრძოლას აწარმოებდენ. ასე რომ პოლიციელმა აბბამ მეტი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა, როცა იარაღით ხელში ტყვეთ ჩაუვარდა მოწინააღმდეგეს, ვიდრე მათმა ხელმძღვანელებმა ეშბა-ლაკობამ, რომლებმაც მათზე მინდობილი „წითელ-არმიელები“ ნახევარი ტყვეთ დასტოვეს და მთელი თვის დაპირებული ჯამაგირი არც კი მისცეს. ყველაზე მეტი პასუხი ამ მხრივ სწორეთ ეშბას მოეთხოვება. ის იყო იდეიური ხელმძღვანელი და თავმჯდომარე სამხედრო-რევოლიუციონური კომიტეტის.

ბალშევიკების მიერ თითით საჩვენებელი კაცი და ერთ დროს ჩვენგანაც პატივცემული ეშბა, არ იყო სავსებით უნაკლულო, უკანასკნელ მის მოღვაწეობაში ბევრი შავი წერტილებია.

ი. ც—ძე.

იყიდება

გასტრონომიული მაღაზია საქონლით და მოწყობილობით. გოლოვინის პროსპექტის ახლო. ვინც იყიდის, მას უფასოთ ვასწავლი „რიგისის“ განთქმულ „სოლოდის“ ყავის „ბალტიკის“ გაკეთებას. იკითხეთ ოლღის ქ. № 27, მაღაზია „ბალტიკა“. (3—2)

ექიმი
ვლადიმერ მიხეილის ძე მახვილაძე
ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილის 11—12 საათ. და საღ. 6—7 საათ. მისამართი: უდელნი ქ. № 14.

ექიმი
გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი.
ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—11 საათამდე და 5—8 საათამდ. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

23 სექტემბერს თფილისის სადგურზე
დავკარგე
თოფის (ვინტოვკის) და რევოლვერის (სმიტენ ვესსონ) ტარების ნებართვა, რომელიც მოცემული იყო სახალხო გვარდიის პირველ რაიონის შტაბიდან. 150 მან. ფულათ და კვიტანცია 50 მ. ვთხოვ მპოვნელს ფული თითონ დაიტოვოს, მოწმობები კი უკან დამიბრუნოს. მისამართი: ნაძალადევი, ლოტკინის ქ. № 25.
მიხაილა ლუკას ძე ქუნთელია.

ექ. ქალი რ. ა. შიშლო-სახაშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ტელ. 9—26

მიხეილის კერძო სამკურნალო
მუდმივ საწოლებით მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე
ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ ს., ი. ნ. ტერ აკოფოვი ქალ. და საშვები 10—11 ს., მ. ფ. მგალობელი ქირ. და ქალთა 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., ქ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.
მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ აკოფოვის ზედამხედველობით.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
იღებს ქალების და ქირურგიულ სნეულებით ავათმყოფთ დილის 9—11 და საღამოს 5—7 საათ. მისამართი: ოლღას ქუჩა, 41. ტელ. № 9-53. (24—22)

ექიმი ნ. დ. ტურიაშვილი
(მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. შინაგან საბავშვო, საბებიო და საშარდოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
ექიმი დონხინისა
ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს“ ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფ. 5—96.

[illegible]
მისამართი: ჩერვილის ქუჩა, № 14

ექიმი მუხაძე
იღებს სალოსტა[illegible] დილის გარდა, მისამართი: [illegible] ქ. № 57; [illegible] შენობის პირდაპირ, სახ. [illegible] ტელ. № 5—7

ექიმი ლუაზარიძე
მიიღებს შინაგა ყურის, ყელის ცხვირის სნეულ ავადმყოფებს დილის 11—1 საა, საღამოს 5—7 მადათოვის ქუჩა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—66

ექიმი დ. ბახიშვილი
მიიღებს ბავშვთა შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დღე კვირის გა და, დილის 9— და საღამ. 5—7 ბინა: ვერა, გუ ქუჩა, № 41. ტელე ფონ 14—09.

სამკურნალო კაბინეთი
ექიმ ალექსი დავითის ძის
კედიასი
იღებს კანისა, ფუილის და სიფილის სით ავათმყოფ 14—606 ის შეშხა პუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ და საღამოს 5 საათიდან 7 საათ მიხეილის პრო სპექტი, № 116, „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

ექ. ღიასამიძე განაახლა სახ ში ავათმყოფების მიღება 1—2 ს. და 5—6 საღ. ქუჩა, სახ. № 15 ტელ. -03.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგზიანცი
ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.
შინაგანი ავადმყობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივით დიდი სალ იდი და არსევალიოკით ფილტვების, გულის და სხვა ავადმყოფობისათვის. ყოველ დილის 9—1 საათამდე და საღამო 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი ნიკოლ ი. მასხილაძე
იღებს სპეციალურ—მალარიით (ციება) და მისი შემდეგ დასნეულებულ ხიხხლის ნაკლებით, გულისა, ფილტვისა, ქარებით სხვა შინაგან. სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის № 11, ზემელის აფთიაქ პირდაპირ.

თეატრი ავლაბარ-პალასი (კონსტანტინოვის ქუჩა)
კვირას, 29 ენკენისთვეს 1918 წელს, დილის [illegible] საათზე
ირაკლი წერეთელი წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:
„საქართველოს რესპუბლიკის დემოკრატია და მთავრობა“.
ბილეთების ფასი 1 მანეთიდან 5 მანეთამდე. ბილეთები იყიდება მესამე კოლ ტივის ბინაზე კლუბის შენობაში.
მთელი შემოსავალი გადაიდება მესამე რაიონის კომიტ. სასარგებლოთ.

კვირას, 29 სექტემბერს დილის 10 საათზე სახელოსნო გამგეობის შენობაში დანიშნულია სახელოსნო კოოპერატივის მესამე ჩვეულებრივი
საზოგადო კრება
დღის წეს-რიგი: 1) პაის გადიდება, 2) მიმდინარე საქმენი.
კრება კანონიერად ჩაითვლება რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.
გამგეობა

სახელმწიფო თეატრი. ოპერის სეზონი 1918—19 წ. დირექცია ლევიცკი
ორშაბათს 30 სექტემბერს
ტოსკა
ოპერა 3 მოქმ. მუსიკა პუჩინი.
მონაწილეობენ: ქ. ქ. სკვარეცკასა, ბ. ბ. ზალიპსკი, რდა, დემიანენკო, ეზრო კურბატოვი, ქურხული.
დირიჟორი სამოხუდი. დასაწყისი სრულ 8 საათ
კასა ღიაა დილის 10—2 ს. და საღამოს 6 საათ წარმოდგენის გათავებამდე
ანონსი: 1 ოქტომბერს—„პიკოვაია დამა“, 2 ოქტომბერს—„აიდა“, 3 ოქტომბერს „კარმენი“.

ქართულ-გერმანულ კულტურული საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 29 ენკენისთვეს, ფრეილინის ქ. № 11, გაიმართება
საჯარო ლექციები
1) არტურ ლაისტისა: ქართული პოეზია.
2) ჰაინ ქართული ლექსები გერმანულ თარგმანში.
დასაწყისი სწორეთ თორმეტის ნახევარ საათზე. ვსთხოვთ საზოგადოებას დანიშნულ დროზე გამოცხადდენ ლექციაზე. (3—

განცხადება
უნტერ-ოფიცრები და ეფრეიტორები, რომლებსაც სურთ განაგრძონ სამ რი მანგლისის მეორე სანაპირო ლაშქარში, მიუხედავად ეროვნებისა შეუძლ ჩაეწერონ ზემოხსენებულ ნაწილში დილის 9—2 საათამდე. ჯამაგირი თვეში მანეთი და ამის გარდა ყველა ის, რაც სამსახურით ეკუთვნის ჯარისკაცს: სმა და ტანსაცმელი.
(4—4) სანაპირო ლაშქრის უფროსი პოლკოვნიკი ხაგინაშვილი

მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა რუხაძისა, გაბაევის შესახვევი, № 1.